2)

„ხარს ვგევარ ნაიალაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ.“ (ვაჟა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების ფრონტი

825
1983 /2

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო

გამოცემის პასუხისმგებელი : გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

№40 პარიზი მაისი 1983 MAI PARIS №40

გამოცემის მეათე წელი

გილოცავთ დამოუკიდებლობის დღესასწაულს

შინაარსი

.2 დიდება დიდებულ მამულიშვილებს — პაპუნა ლუბაშვილი
.5 14 აპრილის და 26 მაისის განუყოფლობა — მოწინავე
.9 დიდი ეროვნული და სოციალისტური მოძრაობა საქ–ში — მინდია ლაშაური
.13 ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციის რეზოლუციები
.16 რადიო „თავისუფლების“ 30 წლისთავი — თ. ტ.
.17 თვითგამოცემის მასალები :
ა) ნიკოლოზ სამხარაძის წამება გრძელდება — ზურაბ ნარსია
ბ) ბორის კაკუბავას მიმართვა
გ) ზ. გამსახურდიას წერილი ი. ანდროპოვს
.24 ნეკროლოგების განყოფილება:
მიშა ხუნდაძის გამოსამშვიდობებელი — ლუბა აბდუშელი
მშვიდობით გიორგი თოხაძეს — ოთარ ამილახვარი
ვიტალი უგრეხელიძის სამარადისო ხსოვნა — გულბათ გულბათიშვილი
მარადის იყოს მათი ხსენება! — გოგი წერეთელი
.29 ჟორჟ ბალანშინის გარდაცვალება — მამულს განშორებული
.31 ჩვენი ფონდი
მოკლედ სხვადასხვა ამბებზე სათვისტომოში — რედაქცია

****

Responsable: Georges Tsereteli; 8, rue des Marchais; 75019 Paris; Tel: 607-08-14;

დიდება დიდებულ მამულიშვილებს

ჩეკის მიერ 15 მხედრის დახვრეტის სამოცი წლისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებლად, ოფლთან ერთად, ხანდახან, წმინდა მოწამებრივი სისხლიც ეჭირვება მოსარწყავად.“ –აკაკი

დიახაც ეჭირვება! და ქართველ ერს შეუძლია იამაყოს, რადგანაც მისი მრავალსაუკუნოვანი ეროვნების ხე უხვადაა ნარწყავი მისი შვილების მოწამებრივი სისხლით. მარტო ისეთი სახელების გახსენება რად ღირს, როგორებიცაა: **მეფე დიმიტრი თავდადებული, წმინდა მოწამენი დავითი და კონსტანტინე, წმინდა ქეთევან დედოფალი კახეთისა, მღვდელი თევდორე, ძმები შალვა და ბიძინა ჩოლოყაშვილები, დიმიტრი ყიფიანი...**

დღეს ჩვენ გვინდა მოწიწებით გავიხსენოთ ამ დიდებული წინაპრების ღირსეული მემკვიდრენი, ამ სამოცი წლის წინად ჩეკის მიერ გაუსამართლებლად დახვრეტილი 15 შეთქმული მხედარი (ჩეკის მიერ გამოცხადებული რიგით):

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, 51 წლის, შტაბის გენერალი, დამოუკიდებელ საქართველოს სამხედრო სკოლის უფროსი, საბჭოთა საქართველოს სამხედრო სკოლის მასწავლებელი. ამ თანამდებობაზე იყო, როდესაც შევიდა სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში და მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადებაში.

ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე, 57 წლის, ჯოფილი გენერალი, საქართველოს წითელი არმიის მოსაზღვრე ჯარის უფროსი და ამავე დროს ფაქტიურად ხელმძღვანელობდა სამხედრო ცენტრის მუშაობას. მუსხელიშვილთან ერთად შეიმუშავა და ინტერპარტიული კომიტეტის საშუალებით დაგზავნა ადგილობრივი ხალხის და იარაღის მობილიზაციის გეგმა.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აბხაზი, 55 წლის, ყოფილი გენერალი, თავადაზნაურობის მარშალი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე. შევიდა სამხედრო ცენტრში და მონაწილეობდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადების ხელმძღვანელობაში.

გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილი, 31 წლის, ჯოფილი პოლკოვნიკი, საბჭოთა საქართველოს ბრიგადის სამოსწავლო ბატალიონის უფროსი. მიიღო მენშევიკების წინადადება, იყოს მათი პარტიის წარმომადგენელი სამხედრო ცენტრში და მონაწილეობას იღებდა საქართველოში პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელობაში.

როსტომ ილიას ძე მუსხელიშვილი, 35 წლის, შტაბის პოლკოვნიკი. იგი იყო საქართველოს საბჭოთა დივიზიის შტაბის უფროსი, როდესაც შევიდა სამხედრო ცენტრში, აწვდიდა მათ საიდუმლო სამხედრო ცნობებს და დუშეთის ამბოხების დროს საექსპედიციო ჯარის შტაბის უფროსის თანამდებობაზედ, კავშირი ჰქონდა აჯანყებულებთან და ხელმძღვანელობდა მათ.

მიხეილ ნიკოლოზის ძე ზანდუკელი, 39 წლის, დუშეთის სამხედრო კომისარიატის სამნეო ნაწილის გამგე, მენშევიკური პარტიის დუშეთის კომიტეტის წევრი. **1922** წ. შეადგინა ორი ჯგუფი დუშეთის მაზრაში, ჰქონდა კავშირი მუსხელიშვილთან, რომელიც იმ დროს იყო საექსპედიციო რაზმის უფროსი.

სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, 27 წლის, ჯოფილი ოფიცერი. ერ. დემოკრატიულ პარტიის ცეკას წინადადებით მუშაობდა გარე კახეთის რაიონში აჯანყების მოსამზადებლად, ხელმძღვანელობდა მენშევიკების მიერ შედგენილ ღაშქარაშვილის რაზმს გორის მაზრაში.

ფარნაოზ რევაზის ძე ყარალაშვილი, 24 წლის, ჯოფილი ოფიცერი, საქართველოს წითელი არმიის პირველი პოლკის უფროსის თანაშემწე. **1922** წ. სექტემბერში ის იყო ძეგვის ხიდზე მყოფ ტფილისმფრქვეველთა რაზმის უფროსად და ამავე დროს დაიკავა კავშირი ღაშქარაშვილის ღაშქართან და დათანხმდა მასთან შეერთებაზე.

იასონ მათეს ძე კერესელიძე, 32 წლის, ერ. დემოკრატიული პარტიის წევრი, პარტიის წინადადებით კავშირი ჰქონდა ჩოლოყაშვილთან.

სიმონ იაგორის ძე ჭიაბრიშვილი, 42 წლის, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატული პარტიის წევრი, იღებდა აქტიურ მონაწილეობას დუშეთის აჯანყებაში **1922** წელს.

ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი, 51 წლის, ჯოფილი პოლკოვნიკი, ქართული დივიზიის პირველი პოლკის უფროსი, ერ. დემოკრატიულ პარტიის სამხედრო ორგანიზაციაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა ჩოლოყაშვილის ამბოხების დროს, მან გადასცა ერ. დემოკრატიული პარტიის ცენტრალ-

ური კომიტეტის განკარგულებანი საექსპედიციო რაზმის უფროსს, როსტომ მუსხელიშვილს.
ელიზბარ ზაქარიას ძე გულისაშვილი, 32 წლის, ჯოფილი პოლკოვნიკი, ერ. დემოკრატიულ პარტიის სამხედრო ორგანიზაციის უახლესი მონაწილე. საქ. წითელ არმიაში პასუხისმგებელი ადგილი ეჭირა და ამავე დროს მიქონდა ცნობები ჩოლოყაშვილთან.
ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი, 26 წლის, წითელი არმიის ოფიცერი. ერ. დემოკრა. პარტიის ცენტ. კომიტეტის დავალებით აგროვებდა და გზავნიდა ჩოლოყაშვილთან ოფიცრებს.
დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი, 29 წლის, ჯოფილი პოლკოვნიკი, საქ. წით. არმიის საარტილერიო დივიზიონის უფროსი. ერ. დემოკრატიული სამხედრო ორგანიზაციის უახლესი და მომქმედი წევრი. ოფიცრების ჯგუფის დავალებით სამხედრო ცენტრს უკეთებდა მოხსენებას, რომ მზადაა მის განკარგულებაში მყოფი ბატარეა გადასცეს ჩოლოყაშვილს.
ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძე, 40 წლის, ერ. დემ. პარტიის სამხედრო ორგანიზაციის მონაწილე, ერ. დემოკ. ცეკას წინადადებით ადგენდა ოფიცერთა პატრიოტულ ჯგუფებს.

სქემატიური ცნობები შეთქმულებაზე

1921 წლის თებერვალ-მარტში ბრძოლის ველზე დამარცხებულ ქართველ ხალხს ბრძოლაზე ხელი არ აუღია, შემოსეულ დამპყრობელებს არ შერიგებია. ქართულ მიწას ჯერ კიდევ სისხლი არ შეშრობოდა, რომ უკვე ქართველი მამულიშვილები მზადებას იწყებენ მომავალი ბრძოლებისათვის. იმავე წლის შემოდგომაზე საფუძველი ეყრება **საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს,** რომელშიაც შევიდენ ყველა ქართული ეროვნული პარტიები: *1.* სოციალ-დემოკრატიული, *2.* ეროვნულ-დემოკრატიული, *3.* სოციალისტ-ფედერალისტთა, *4.* სოციალისტ-რევოლუციონერთა და *5.* სხვიელების პარტია. *1922* წელში დამკომს თავმჯდომარეობდა სოც. დემ. **ნ. ქარცივაძე,** შემდეგ კი *1924* წლის აგვისტოს აჯანყებამდე სოც. დემ. **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი.**

დაახლოებით იმავე დროს, იმავე პარტიის წარმომადგენლებისაგან საზღვარგარეთაც იქმნება **საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი** (**დამკომი**).

1922 წლის მარტში ჩამოყალიბდა სამხედრო ცენტრი, შემდეგი შემადგენლობით: გენერალი **კოტე აფხაზი** (თავმჯდომარე), გენ. **ალ. ანდრონიკაშვილი,** გენ. **ვ. წულუკიძე,** პოლ. **გ. ხიმშიაშვილი,** პოლ. **რ. მუსხელიშვილი** დასხვ. იგი მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის მხედრულ მომზადებას და მის მომავალ ბრძოლების ხელმძღვანელობას.

კახეთში ამ დროს დიდი წარმატებებით მოქმედებდა **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** რაზმი, ხოლო ქართლში–მიხეილ ლაშქარაშვილისა.

ხევსურეთსა და კახეთში იმ დროს ნამდვილი აჯანყების სულისკვეთება არსებობდა. სამხედრო ცენტრმა მხედველობაში მიიღო ეს და ცდილობდა, რომ თუ ამ კუთხეში სტიქიური გამოსვლები მოხდებოდა, იგი საყოველთაო ეროვნულ აჯანყებად გადაექცია და მისთვის ეხელმძღვანელა. სამხედრო ცენტრს აჯანყების გეგმად ჰქონდა პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილის მიერ შედგენილი სამხედრო გეგმა, რომელიც იმ დროს ქართული საბჭოთა დივიზიის მთავარი შტაბის უფროსი იყო და კარგად უწყოდა კავკასიაში მყოფი საბჭოთა სამხედრო ძალების საიდუმლოებანი. იმ მომენტში მუსხელიშვილი და სამხედრო ცენტრის სხვა წევრები ვარაუდობდენ, რომ საბჭოთა ძალების სისუსტის გამო, საყოველთაო აჯანყების შემთხვევაში შესაძლებელი იყო რუსებზე გამარჯვება და მათი კავკასიის საზღვრებიდან გარეკვა.

მუსხელიშვილის გეგმის მიხედვით, პირველი და გადამწყვეტი გამოსვლა უნდა დაეწყო ქაქუცა ჩოლოყაშვილს, დუშეთში. როცა რუსული ჯარები მასთან ბრძოლაში ჩაებმებოდენ, მცხეთის მხრიდან მისთვის ზურგში უნდა დაეკრა მიხეილ ლაშქარაშვილის რაზმებს, რაც გამოიწვევდა მტრის არევ-დარევას და ადვილად დამარცხებას. ამის შემდეგ ჩოლოყაშვილის და ლაშქარაშვილის გაერთიანებული ლაშქარი უნდა მოდგომოდა თბილისს.

სამხედრო ცენტრმა აჯანყების ეს გეგმა დამკომს წარუდგინა მისაღებად, თანაც მოითხოვდა, რომ აჯანყების ხელმძღვანელობა მას გადაცემოდა. დამკომმა ეროვნული აჯანყება ნაადრევად ჩათვალა, რაიონები გააფრთხილა აჯანყება არ დაეწყოთ, ხოლო ლაშქარაშვილის უკვე შეკრებილ ლაშქარს ბრძანება მისცა დაშლილიყვნენ და დროებით თავთავიანთ სახლებში დაბრუნებულიყვენ.

1922 წლის აგვისტოში ხევსურეთ-კახეთის აჯანყება მაინც მოხდა. მას სათავეში ჩაუდგა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თავისი შეფიცულებით, რომლებიც გეგმის მიხედვით დუშეთში მოვიდენ. პირველ ბრძოლებში ქაქუცამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა, მაგრამ ძალთა სიმცირის გამო მტრის დე-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნა შეუძლებლად ჩათვალა და ისევ დუშეთის პოზიციაზე დაიხია. რუსებმა თბილისიდან დამხმარე ძალები მიიღეს, ხელმეორედ შეტევაზე გადავიდნენ, ჩოლოყაშვილის რაზმი რკალში მოაქციეს, ქაქუცამ ალყა გაარღვია და კახეთისაკენ დაიხია, ხოლო ხევსურეთში საბჭოთა ჯარები შეჭრნ და დააწიოკეს.

ჩეკამ ადრევე დაჭოსა, რომ ხევსურეთ-კახეთის აჯანყბაში გამოცდილი მხედრების ხელ ერია და დაიწყო გაფაციცებული ძებნა მათ აღმოსაჩენად. *1923* წლის იანვარში **კ. მისაბიშვილმა**, რომელიც სტუდენტთა ერ. დემოკრატიულ პარტიის კომიტეტის წევრი იყო, გასცა სამხედრო ცენტრი, ხევსურეთ-კახეთის აჯანყბის ხელმძღვანელები და გამომაჭღავნა პოლკოვნიკ მუსხელიშვილის გეგმა. მარტის თვეში აჯანყბის ჯელა შეთქმული დაპატიმრებული იყო. *19* თუ *20* მაისს ჩეკამ ისინი დახვრიტა. *25* მაისს გაზეთმა „კომუნისტმა“ ქართველ ხალხს ამცნო იგი.

თუ როგორ ღირსეულად ეჭირათ თავი მათი ჯალათების წინაშე, ამის შესახებ მოვუსმინოთ აწ განსვენებულ **ალექსანდრე ასათიანს:**

„საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის მემატიანე უთუოდ აღფრთოვანებულ ფურცლებს მიუძღვნის ქართველ მებრძოლთა განსაკუთრებულ სიმტკიცეს სიკვდილის წინაშე. როდესაც *1923* წლის *20* მაისს ხელებშეკრული მიიყვანეს ჩეკაში გენ. აფხაზი, ანდრონიკაშვილი, წულუკიძე და მათი თანამებრძოლნი, სიკვდილის განაჩენი წაუკითხეს და უკანასკნელი სიტყვის ნება მისცეს, ყველამ ამაყ შეუდრეკელობით აღსავსე სიტყვებით მიმართეს წითელ ჯალათებს: „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ, ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია.“ „მე კვკდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზედ ზვარაკად მიტანისა.“ „ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს.“ „გადაეცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ, ვით შეჰფერის ქართველ პატრიოტებს.“ „სახეზედ გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე. წადით და უთხარით თქვენებს, თუ როგორ კვდებიან ქართველები საქართველოსთვის.“ ამის შემდეგ თითქოს დაკანონდა ქართველ პატრიოტებში ბოლშევიკური ტრიბუნალების და ჩეკის ჯალათების წინაშე ასეთი შეუდრეკელობის მანიფესტაციები. კათალიკოსი ამბროსი, მიტროპოლიტი ნაზარი, გენერალი გარდაფხაძე, გენ. სუმბათაშვილი, გენ. ყარალაშვილი, გენ. ძმანი ფურცელაძენი, პოლიტ. პარტიების მეთაურები და მათი თანამებრძოლნი და სხვები ჯელა წრის, ჯელა ფენის, მოხუცნი და ახალგაზრდანი ასე მეტჯელებდენ სიკვდილის აჩრდილის წინაშე. თვით მორალურ ნიჰილიზმზედ აღზრდილი ქართველი კომუნისტებიც დაემორჩილენ სიკვდილთან შეხვედრის ასეთ წესს. არც ერთი მათგანი არ დათანხმებულა მათი პიროვნების გამათახსირებელ აღსარებათა და მონანიებათა ხელის მოწერას. სტალინის სიყრმიდან მეგობარმა ბუდუ მდივანმა მიუგდო მათ ასეთი დეკლარაცია: „ასეთ განცხადებებზე იქ მოაწერინეთ ხელი, მოსკოვში. აქ კი თბილისია, საქართველოს დედაქალაქი...“

საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლათა მარტიროლოგია მეტად ვრცელია და აღსავსე დიდი და წამებრივი გმირობით. იქ მრავალია ზეკაცური სიდიადით გაბრწყინვებული ფურცლები, რომელთაც ოდესმე მიაკვლევს ახალი რუსთაველისა თუ შექსპირის გენია და ააცოცხლებს სამარადისოდ.“ (**„ივერია“** №*6*; *1953* წ. „დიდ ბრძოლათა დიდი სული“)

60 წელიწადი გვაშორებს ამ დიდმნიშვნელოვან ეროვნული გლოვის თარიღიდან, როცა ლენინის სისხლიანმა ჩეკამ სიცოცხლე მოუსპო *15* მაღალი რანგის ქართველ ოფიცერს, რადგანაც ისინი სამშობლოს ერთგული შვილები იყვნენ.

მათდამი ჩვენი თაყვანება მით უფრო უსაზღვროა, რომ მათი ბრძოლა და გოლგოთა ჩვენთვის მხოლოდ წარსულს კი არ ეკუთვნის, არამედ ის აგრეთვე შემადგენელი ნაწილია ჩვენი ბრძოლის, იმ ბრძოლის, რომელსაც უკვე *62* წელიწადია აწარმოებს ქართველი ხალხი. ბრძოლა, რომელიც გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ ის ქართველი ხალხის გამარჯვებით არ დაგვირგვინდება.

წელს, როდესაც კრემლის საბჭოთა ტირანია ჩვენს ხალხს აზეიმებს გეორგიევსკის ხელშეკრულების *200* წლისთავს, იმ ხელშეკრულებისას, რომლისთვისაც არასოდეს პატივი არ უცია რუსეთის არც ერთ მთავრობას, მაგრამ რომელიც საბაბი გახდა უძველესი ქართული სახელმწიფოს გაუქმებისა და ანექსიისა მათგან, ჩეკის მიერ დახვრეტილი თხუთმეტი გულმხურვალე მამულიშვილის მოგონება რწმენას ჩაუნერგავს და გზას უჩვენებს ჩვენს საამაყო და საიმედო ახალგაზრდობას. ამ ახალგაზრდობამ, რომელთა ძარღვებშიაც ძველი, დიდებული მამა-პაპების სისხლი ჩქეფს, გულის ფიქალზე მცნებად უნდა დაიწერონ აწ განსვენებული პოლკოვნიკი სოლომონ ზალდასტანიშვილის შემდეგი სიტყვები, რომელიც თვით იყო ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი ჩვენი ხალხის პატრიოტული ბრძოლებისა *1921-24* წლებში: „...მაგრამ არ შეიძლება მომავალი საქართველო ავაშე-

„ნოთ თუ მის წარსულ ისტორიას არ მოვექეცით ფაქიზათ, პატივისცემით, სიფაერულით.

არ შეიძლება საქართველოს განთავისუფლების ბრძოლაზე ვილაპარაკოთ, თუ არ გავიხსენებთ სამშობლოსათვის თავდადებულებს, მისთვის მსხვერპლად შეწირულებს, მათ საფლავებს **არ** ფარავ-ხდით წმინდათა-წმინდას და მათ ეროვნულ მიზანს არ დავისახავთ ჩვენს იდეალად.“ (**ს. ზალდა-სტანიშვილი: „საქ.–ს *1924* წლის ამბოხება“; მიუნხენი *1956*).**

პაპუნა ლუბაშვილი

*** *** ***

14 აპრილის და *26* მაისის განუყოფლობა

მაინც მოვიდნენ ბიჭები

გაცოცხლდა მიწა ქართული
მათგან ფეხდანაბიჯები,
სიკვდილს შეპირდნენ და მაინც,
მაინც მოვიდნენ ბიჭები.

ავი შრიალი მოისმა
მოზარე დედის თმებისა,
აპრილის დილას მოჰქონდა
სუნთქვა ამაჯ მთებისა.

იქნებ ფუჭე არ ყოფილა
დიდგორში ჩაყრა ძვლებისა,
სისხლი დემეტრეს, თევდორეს,
ახალციხელი ძმებისა.

და როცა ზღვარი ცოცხალი
გოლგოთას მთასთან შეკავდა,
რუსი ჯალათი მოსკოვში
მთავარ ჯალათთან რეკავდა!

გადაგვარჩინა ღმერთმა და
თავის გაწირვამ ათასთა,
ყოველი წუთი იქ დგომის
ძვირად, რა ძვირად დაფასდა!

კურთხეულ იყოს შვილების
წინაპრის კვალზე დადგომა,
იქნებ ეღირსოს ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა.

ცეცხლის დუღაბად დარჩება
მათგან ფეხდანაბიჯები,
სიკვდილს შეპირდნენ და მაინც,
მაინც მოვიდნენ ბიჭები!!!

(უცნობი ავტორის ლექსი მიძღვნილი *1978* წლის *14* აპრილის მანიფესტაციებში მონაწილე ახალგაზრდობისადმი)

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ გასულ წელს სამშობლოდან მოსულ თვითგამოცემის მასალებში, რომლებიც **38** ნომრის დამატებათ გამოვაქვეყნეთ, იყო ერთი მოწოდება, *14* აპრილის დღის ჩვენი დედაენის დაცვის დღედ გამოცხადების შესახებ. მოგვყავს ის მოწოდება მთლიანად:

„მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის...“–ილია

ქართველი ერის მაღალი ეროვნული თვითშეგნების ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო *1978* წლის *14* აპრილის ქართული საზოგადოების მიერ ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვა.

გასულ წელს ჩვენმა ერმა *14* აპრილი საქართველოსათვის ლოცვის დღედ გამოაცხადა. მოგმართავთ ყოველ ქართველს ამ დღეს ლოცვით მოიხსენიოთ სამშობლო ჩვენი, ერი ჩვენი და ენა ჩვენი.

დაე ამ დღეს თქვენს მიერ უფლისადმი საქართველოსათვის დანთებული სანთელი იყოს სიმბოლო ქართველი ერის უკვდავებისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. **ამინ“**

სანამ ამ დღესასწაულის საკითხს შევეხებოდეთ მოკლედ მოვიგონოთ ის ამბები, რომლებმაც ის განაპირობა. საბჭოთა ყოფის უკანასკნელი ოცი წელიწადი, რომელსაც ბრეჟნევის ზეობის ხანა შეგვიძლია პირობით ვუწოდოთ, ხასიათდება გარუსების პოლიტიკის გაძლიერებით საბჭოთა კავშირის ჯელა არარუს რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოში. სამოციან წლებში ეს პოლიტიკა უფრო ფრთხილი და შემპარავი იყო, მაშინ როდესაც სამოცდაათიან წლებში მან ნიღაბი სრულიად აიხადა და მოურიდებლად დაიწყო როგორც ქადაგება ისე პრაქტიკული საქმიანობა. უპირველესად გაჩაღდა აგიტაცია-პროპაგანდა რუსული ენის როგორც მშობლიური ენის კარგად შესწავლის სასარგებლოდ. რუსული ენის პროპაგანდისტები არავითარ არგუმენტებს არ თაკილობდენ. რუსული ენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსადიდებლად, სხვათა შორის, იმასაც ამბობდენ და წერდენ, რომ **რუსული ენა დიდი ლენინის ენაა, დიდი ოქტომბრის რევოლუციის ენაა** და ეს კი გვავალებს რუსული ენა ჩვენს ენად გავიხადოთო. იგი ზედმიწევნით კარგად უნდა ვისწავლოთო.

კრემლი ლიტონი სიტყვებითა და მოწოდებებით როდი კმაყოფილდებოდა, არამედ შესაბამის ადმინისტრატიულ ღონისძიებებსაც ანხორციელებდა. ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლება პირველი კლასიდანვე იწყება და ეს უმთავრესად დედაენის ხარჯზე; დაიწყეს ექსპერიმენტების წარმოება ქართულ საშუალო სკოლებში, სწავლების რუსულ ენაზე გადასაყვანად; (მაშინდელი საქ. განათლების მინისტრი ლაშქარაშვილი რუსებს უპატაკებდა: „ზუგდიდის საშუალო სკოლაში წარმოებული ექსპერიმენტები საუცხოო შედეგებს იძლევაო.") სავალდებულო გახდა სადისერტაციო შრომების რუსულად წარდგენა; და ბოლოს გარუსების ღონისძიებები შეეხო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც, სადაც განზრახული იყო რუსეთიდან პროფესორების მოწვევა ლექციების წასაკითხავად.

როგორც ვიცით, ამ უხეშმა გარუსების პოლიტიკამ, თავის დროზე, ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია, განსაკუთრებით ინტელიგენციაში, პროფესორ-პედაგოგებში და სტუდენტ-მოსწავლეებში. თვით ქართველ კომუნისტთა შორისაც უკმაყოფილებამ საჯარო ხასიათი მიიღო. მათ წარმომადგენლებათ შეიძლება ჩაითვალონ მწერლები: ნოდარ წულეისკირი და რევაზ ჯაფარიძე, რომლებიც გაბედული კრიტიკით გამოვიდენ მთავრობის აშკარა გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ.(იხ. „თ.ტ." №13)

დედა სამშობლო ამ მწერლებს და ბევრ მათ მსგავსს ხელს არა ჰკრავს იმიტომ, რომ ისინი კომუნისტები არიან. საქართველოს დღეს ისე, როგორც არასოდეს სჭირდება ყველა მისი ჭეშმარიტი შვილის სამსახური, თუნდაც ზოგიერთი მათგანი დროებით არასწორ გზაზედ იდგეს. მთავარია, რომ მათ დროზე იპოვნონ სწორი გზა და დროზე მიეშველონ განსაცდელში მყოფ მშობელ ერს.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ბრეჟნევმა გადაწყვიტა სსრკ. ხალხები ახალი კონსტიტუციით გაებედნიერებინა, რომელშიც **„ერთი საბჭოთა ხალხის"** ფორმაცია აირეკლებოდა. **1924** და **1936** წლებში რუსული შოვინიზმი თავს საკმაოდ ძლიერად ვერ გრძნობდა, ამიტომ მაშინდელ კონსტიტუციებში რუსული ენის ბატონობის აშკარა გამოცხადება ვერ გაბედეს. მაშინდელ კონსტიტუციებში იყენენ განსაკუთრებული პარაგრაფები, რომლის მიხედვითაც აღებულ ეროვნულ რესპუბლიკაში,– კერძოდ საქართველოს შემთხვევაში სახელმწიფო ენად გამოცხადებული იყო ქართული ენა.,–ძირითადი ერის ენა სახელმწიფო ენად იყო აღიარებული. ახალი კონსტიტუციის მიხედვით კი ეს მუხლი უკვალოდ ქრებოდა. იქნებოდა გასაკვირი: ამას ქართველი ხალხი გულგრილად შეხვედროდა და არა ის რაც მოხდა.

რაც რომ კონსტიტუციის მიღების საბედისწერო თარიღი ახლოვდებოდა, მით უფრო ქართველი ხალხის ბორგვა მატულობდა. ხელისუფლებამ უეკვეულად კარგად იცოდა ეს ამბავი, რადგანაც მან პოლიციისა და ჯარის ნაწილებით აავსო მთელი საქართველო და განსაკუთრებით კი თბილისი.

არავინ არ იცის თუ ვის განკარგულებას ემორჩილებოდა ხალხი, ან თუ არსებობდა ვინმე გამკარგულებელი! ერთი ფაქტი კი აღსანიშნავია: წინა დღით თბილისიდან მოსკოვში აკრედიტორებულ დასავლეთის კორესპონდენტებს აცნობეს, რომ ხვალ თბილისში არაჩვეულებრივი ამბავი მოხდება და გაფრთხილებული იყვითო.

თბილისელებს ძალიან კარგად ახსოვდათ **1956** წლის მანიფესტაციების ტრაგიკული ბედი, როცა ნიკიტა ხრუშჩოვის ბრძანებით რუსულმა ჯარებმა ქართველი ახალგაზრდების სისხლის მორევი დააყენეს დედაქალაქის ქუჩებში. **1978** წლის **14** აპრილს, ქართველი ხალხი სიკვდილს არ შეეშინდა და რამოდენიმე ათეული ათასი პროტესტის ნიშნად გამოვიდა ქალაქის შუაგულში და მანამ არ დაცხრა სანამ არ მიიღო დაპირება, რომ ძველებურად ქართული ენა დარჩებოდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენად.

თქმა არ უნდა, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სხვა ეროვნულ რესპუბლიკებშიც ადგილი ექნებოდა დიდ სახალხო უკმაყოფილებებს, მაგრამ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, არსად მას საქართველოს გარდა, ქუჩებში საპროტესტო მანიფესტაციების სახე არ მიუღია. საბჭოთა ხელისუფლებას სხვაგვარად არ შეეძლო: ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში სახელმწიფო ენად, რუსულთან ერთად, დატოვა რესპუბლიკის მთავარი ენა. ამრიგად, **1978** წლის **14** აპრილის თბილისის მანიფესტაციები თავისი შედეგებით შორს სცილდება საქართველოს საზღვრებს, მან მიიღო მთლიანი საკავშირო მნიშვნელობა.

ამ დემონსტრაციის მონაწილეებმა გამოიჩინეს დიდი პოლიტიკური სიმწიფე. მათ თავი ისე ღირსეულად ეჭირათ, რომ ერთი მხრით დამსჯელ ძალებს არავითარი საბაბი არ მისცეს პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოკაციის, და, მეორე მხრით, აშკარად უჩვენეს გადაწყვეტილება, რომ უსიკვდილოდ უკან არ დაიხევდენ თუ მათი სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნებოდა.

ჩვენი ხალხის ნების ეს ბრწყინვალე გამოვლინება რომ დავიწყებული არ უნდა იქნეს, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ამ მოვლენისადმი ჩვენი ყურადღების გამახვილება მით უფრო საჭირო და აუცილებელია, რომ საფრთხე ჩვენს დედაენაზე ჯერ მოხსნილი არ არის და არც შეიძლება მოიხსნას მანამ, სანამ სხვა ერის მპყრობელობაში ვიმყოფებით.

საფრთხე რომ მუდმივად და უსათუოდ არსებობს, ამის საილუსტრაციოდ იური ანდროპოვის სიტყვებიც კმარა, წარმოთქმული სსრკ შექმნის *60* წლისთავის ზეიმზე, მთელი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს კომუნისტური არეოპაგის წინაშე, *1982* წლის *21* დეკემბერს:

„ჩვენი საბოლოო მიზანი ცხადია. ეს არის, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, არა მარტო ერთა დაახლოება, არამედ მათი შერწყმაც.“ ანდროპოვმა კარგად იცის, რომ ერთა ასეთი სამკვდრო-სასიცოცხლო საქმის განხორციელება უეცრად, ერთი ხელის დაკვრით შეუძლებელია და აკი იქვე დასძენს: **„პარტიას კარგად ესმის, რომ ამ მიზნისკენ მიმავალი გზა გრძელია. აქ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წინ გაჭრა ისევე, როგორც არ შეიძლება დაუშვა უკვე მომწიფებული პროცესის შეკავება.“** (გაზ. „კომუნისტი“ *22.12.1982*.)

კრემლის ახალ ხაზენს არ უთქვია, მაგრამ უთქმელადაც ყველასათვის გასაგები იყო, რომ პროცესების მოსამწიფებლად საბჭოთა რეჟიმს გააჩნია ისტორიაში ჯერ არ ნახული საშუალებები: აბსოლუტურად ცენტრალიზებული ადმინისტრაცია, ყოვლისმომცველი პოლიცია და უძლიერესი არმია.

დიახ, *1978* წლის *14* აპრილის მანიფესტაციებით არ მოხსნილა საფრთხე ჩვენი დედაენისათვის. იგი დღესაც დამოკლეს ხმალივითაა ჩვენს თავთან ჩამოკიდებული. საჭიროა მუდმივი სიფხიზლე, მუდმივად მზადყოფნა და ამიტომაც კიდევ უფრო მიზანშეწონილია ეს დღე—*14* აპრილი— გამოვაცხადოთ დედაენის დღედ, ქართული ენის დაცვის დღედ. ამ დღეს, სადაც კი არ უნდა ვიყოთ ქართველები, ერთად უნდა შევიკრიბოთ, რათა ვილოცოთ ჩვენი დედაენისათვის. პარიზის ქართველები წელსვე დადებითად გამოვეხმაურეთ ამ მოწოდებას. *14* აპრილს საღამოს შვიდი საათიდან წმინდა ნინოს ეკლესიაში, მრავალრიცხოვან მრევლის თანდასწრებით, მოძღვარმა **ილიამ** წირა ჩვენი დედაენისათვის.

რა თქმა უნდა, ლოცვა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც მორწმუნეა. დღეს ყველა აღარ არის მორწმუნე, მაგრამ დედაენა კი ყველას უყვარს. ამიტომ შეკრებები უნდა ხდებოდეს როგორც ეკლესიებში, ისე მათ გარედაც და მხოლოდ ლოცვით კი არ უნდა დავკმაყოფილდეთ, არამედ პრაქტიკული ღონისძიებებიც უნდა მივიღოთ, თუ როგორ უკეთ შეიძლება უზრუნველვყოთ ქართული ენის უკვდავება, მისი უკედ გაფურჩქნა, აყვავება.

26 მაისი

ენა ჭეშმარიტად დედაბოძია ეროვნებისა, და ცამდე მართალია **გრიგოლ ორბელიანი**, როცა მწარედ მოთქვამს: **„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..** მაგრამ თუ დედაბოძი ქართული დარბაზის აუცილებელი და მთავარი ნაწილია, ის მაინც მარტვა არ არის დარბაზი. ის რომ საცხოვრებელ სახლად იქცეს, მასთან ერთად საჭიროა სულ ცოტა კედლები, სახურავი და კერია. უამინდობის შემთხვევაში ასეთ სახლში ოჯახს შეუძლია თავის შეფარება. ერი ხომ დიდი ოჯახია. ის ოჯახთა კრებაა. რაც ოჯახისათვის კერაა, თავშესაფარია, ის ერისათვის სახელმწიფოა. მოუსპეთ ოჯახს თავშესაფარი, ის ბოგანოდ, მაწანწალად იქცევა. მოუსპეთ ერს სახელმწიფო, ის ხიზანი ხდება თავის მამა-პაპეულ მიწა-წყლზე. ის აღარ არის ერი, რადგანაც სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს ქონების გარეშე მას დიდხანს აღარ შეუძლია შეინარჩუნოს ერის გამსაზღვრელი მთავარი ნიშნები. ეს კარგად იციან ყველა ჯურის დამპყრობელ-იმპერიალისტებმა და ამიტომაც იპყრობენ თუ არა ხალხებს, ისინი პირველ რიგში მათ უსპობენ სახელმწიფოს.

ჩვენ აქ მკითხველებს არ შევაწყენთ ქართველი ხალხის ისტორიის წვრილად აღწერით. უნდა ვთქვათ მხოლოდ, რომ მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში გადატანილი ნგრევისა, გაპარტახებისა და სისხლის ღვრისა, ვერცერთმა დამპყრობელმა ვერ შეძლო მისთვის მოესპო სახელმწიფოებრივობა გარდა რუსებისა. მხოლოდ რუსებმა გაბედეს, ხელი შეახეს და მოჰკლეს უძველესი ცივილიზებური ქართული სახელმწიფო, ველურებად გამოეცხადებიათ ქართველები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამც თუ განათლების მიღება დედაენაზე, არამედ მისი შინაურობაში ხმარებაც კი აეკრძალათ... და ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში გაატარა **117** წელიწადი ქართველმა ხალხმა. **1917** წლის თებერვლის რევოლუციამ დაამხო მეფის რუსეთის ხალხთა საპყრობილე და მის ნანგრევებზე **1918** წლის **26** მაისს, ქართველმა ხალხმა შეძლო საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა, რომელმაც დასაბამი მისცა ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, ქართული მეცნიერების ბატონობა, აყვავებას. საქართველო კვლავ სრულუფლებიანი წევრი გახდა თავისუფალი, სუვერენი და თანასწორუფლებიანი საკაცობრიო ოჯახისა.

მაგრამ, ჩვენი ისტორიული მტრები ჩასაფრებული იყვენ და ჩვენს დასაკლავ დანას ლესავდენ. სანამ წითლები და თეთრები ერთმანეთს ჟლეტდენ, მანამ ცოტა მოსვენებული ვიყავით, მაგრამ, როგორც კი წითელმა თეთრი გამოფატრა, დაუყოვნებლივ შემდეგ ჩვენ გვეძგერა და ქვეშ ამოგვიდვა...მოგვტაცა კვლავ თავისუფლება, დამოუკიდებლობა, მოგვტაცა **26** მაისის ყველა მონაპოვარი..

26 მაისის საქართველოს დაცვას შეეწირა მრავალი საუკეთესო მამულიშვილი. როცა ჩვენი მამები ბრძოლის ველზე დამარცხდენ, მათ იარაღი მაინც არ დაუყრიათ, მონობაზე არ დათანხმებულან და წლების განმავლობაში გააგრძელეს წინააღმდეგობა და ხშირად აჯანყებებიც. ეს ბრძოლა, ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, **26** მაისის საქართველოს აღსადგენად გრძელდება და გაგრძელდება გამარჯვებამდე. და სანამ ეს გამარჯვება მისაღწევია მანამ განსაკუთრებით გვმართებს სათუთად შევინახოთ ოცდაექვსი მაისის ხსოვნა. ჩვენ შეიძლება გვეპატიოს ჩვენი ერის დამარცხებათა თარიღების გულმავიწყობა, მაგრამ არ გვეპატიება გულმავიწყობა და გულცივობა თარიღისა, რომელიც სიმბოლოა ჩვენი ეროვნული ცხოველმყოფელობის. ამიტომაცაა: ჩვენ, უცხოეთში გადმოხვეწილი მამულიშვილები, განურჩევლად პარტიულობისა, ვიკრიბებით ერთად და უდიდესი აღტყინებით ვზეიმობთ **26** მაისობას ყოველწლიურად.

გარნა, ასე აღარ ხდება ჩვენ სამშობლოში. ჩვენმა მპყრობელმა კომუნისტურმა რუსეთმა შეძლო ჩვენ ქვეყანაში აეკრძალა არამც თუ ოცდაექვსი მაისის ზეიმი, არამედ მისი ხსენებაც კი; ჩვენმა ახალგაზრდობამ არ იცის რა ფერია მისი ეროვნული აღამი, მისი სახელმწიფო ღერბი, მისი ეროვნული ჰიმნი...

დიდი იღია გვასწავლიდა: **„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება წარსულისა, თავისის ყოფილი ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა; თავისი წარსულისა და ყოვლის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნიდან–მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა...“**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **26** მაისი მარტო ჩვენი წარსულის ისტორია კი არაა, არამედ აგრეთვე ჩვენი აწმყო და მომავალი ბრძოლების გზის მაჩვენებელი ვარსკვლავიცა. ისაა ჩვენი ეროვნული ლტოლვის მოკლე სიმბოლიკა აწმყოსა და ახლო მომავალშიაც, ამიტომ **26** მაისის დავიწყება, უგულებელყოფა ყოვლად გაუმართლებელია.

დიახაც უნდა შემოვკრბეთ და დავირაზმოთ **14** აპრილის იდეების სადარაჯოზე, მაგრამ გაცილეუფრო ენერგიულად, ენთუზიაზმით და აღტყინებით უნდა ვირაზმებოდეთ **26** მაისის იდეების ირგვლივ, რათა ჩვენმა მოყვრებმაც და მტრებმაც იცოდენ ჩვენი ეროვნული გადაწყვეტილებანი.

მაშ, გაუმარჯოს **26** მაისის საქართველოს!

დიდება მრავალ ჟამიერ ქართველ ერს!

მოწინავე

*********** *** * ***************** * * ** ******* * ***** * ****************\

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ეროვნული და სოციალისტური მოძრაობა საქართველოში

(საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დაარსების 90 წლისთავი)

საქ.-ს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მოღვაწეობასა და ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის, რა თქმა უნდა, მთლიანად ვერ განვიხილავ. ამისათვის საჭირო არც მასალები და არც ადგილი აქ არ გაგვაჩნია. იმედია, მკითხველი ამას გაითვალისწინებს და ჩემი ნაშრომის უსრულობას არ დამიძრახავს. მე კი შემიძლია თავი დავიმშვიდო ამით: „*Feci, quod petui faciant meliora potentes.*"

საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ისტორია იწყება *1901* წლიდან, როცა **არჩილ ჯორჯაძე** სათავეში ჩაუდგა გაზეთ „ცნობის ფურცელს", თუმცა ეს ახალი პარტია ოფიციალურად დაარსდა *1904* წელს ჟენევაში შეკრებილ **ქართველ რევოლუციონერთა კონფერენციის** მიერ. *1901* წელს არჩილ ჯორჯაძე საქართველოშია. მან კავშირი გაიბა აღექსანდრე ჯაბადართან და გიორგი ლასხიშვილთან და გაზეთ „ცნობის ფურცელის" ერთერთი წამყვანი თანამშრომელი გახდა. „ცნობის ფურცელს" თავიდან **ვალერიან გუნია** რედაქტორობდა. **გიორგი ლასხიშვილი** თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ არჩილი მხურვალე მომხრე გახდა იმ ახალგაზრდა ჯგუფისა, რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა სრულიად ახალი და დამოუკიდებელი ქართული პარტიის შექმნა. ჩვენს სინამდვილეში მაშინ განსაკუთრებით ორი მიმდინარეობა ებრძოდა ერთმანეთს: ძველი თაობა–ეროვნული იდეების მატარებელი და ახალი, მესამე დასელები, მარქსიზმის იდეოლოგიის მატარებელნი... სხვათა შორის, ჩვენს შორის ის აზრი ტრიალობდა, რომ უმჯობესია რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონურ პარტიასთან შეგვექმნა ქართული ავტონომიური ჯგუფი, მაგრამ ახალგაზრდები **კიტა აბაშიძე, ვლ. ლორთქიფანიძე** და სხვ. სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ რუსულ პარტიის დროშის ქვეშ დადგომისა... არჩილ ჯორჯაძე მომხრე გახდა იმ ახალგაზრდა ჯგუფისა, რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა სრულიად ახალი დამოუკიდებელი ქართული პარტიის შექმნა." (გ. ლასხიშვილი: „მემუარები", ტფილისი, *1934*.)

ახალი დამოუკიდებელი პარტიის დაარსების აუცილებლობა თვით ცხოვრებამ დააჯერა დღის წესრიგში ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „თვით ცხოვრებამ დააჯერა ეს კითხვა ხალხისა და ცხოვრებისა, დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის დაკავშირებისა...ვიყავით და ვიქნებით იმის მტერი ვისაც ეროვნული ერთობის დაცვა არაფრად მიაჩნია, მხოლოდ არანაკლები მტერი ვართ იმათი, ვისაც კერძო და წოდებრივი ინტერესების გამოსარჩლება, ე.ი. ცალკე კლასისა, ერის გამოსარჩლებად მიაჩნია."–წერდა არჩილ ჯორჯაძე. იგივე „ცნობის ფურცელში" არ. ჯორჯაძე წერდა: „ხელი უნდა შევუწყოთ ევროპულ მოწინავე იდეებისა და საუკეთესო მისწრაფებათა გაცნობას, შეთვისებას და გავრცელებას, მაგრამ თუ ეს იდეები არ ეწინააღმდეგება ეთნოგრაფიულ არსებობას. ჩვენი ენა, ლიტერატურა, ეროვნული თვისებანი და არსება რჩებიან და ვითარდებიან... ილიას თაობამ შესანიშნავი სამსახური გაუწია მას... ჩვენ გვწამს სიდიადე მათის იდეალებისა და ამიტომ მოვალენი ვართ განვაგრძოთ მათი შრომა ერის თვითცნობიერების განვითარებისათვის..."

სოციალური პრობლემების შესახებ არ. ჯორჯაძე განსხვავებულ აზრებს გამოთქვამდა, ვიდრე ეს ქართულ საზოგადოებას „მესამე დასისაგან" სმენოდა. მართალია არჩილი კლასობრივ დიფერენციაციას ხედავს, მათ შორის ბრძოლასაც კარგად ამჩნევს, მაგრამ მისი აზრით, დამონებულს, პოლიტიკურად და ეროვნულად დევნილ ხალხს არ შეუძლია იგივე გააფთრებული ბრძოლა იქადაგოს ეროვნულ კლასთა შორის. გამთიშველი სოციალური ბაზის გარეშე ამ კლასებს მოეპოვებათ ნაციონალური შემკრებილობითი საერთო ნიადაგი–ერის უფლებათა დასაცავად. ეს ნაციონალური დევნა ფეელა წოდებას სტანჯავს, იმიტომ რომ ის ქართველია...კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებამ საქართველოში, თანამედროვე პირობებში ნაციონალური მიმართულება უნდა მიიღოს... ქართველი კაკაპიტალისტები, ე.ი. ვაჭარი და მრეწველი კი არ უნდა დაუპირისპიროთ ერთმანეთს, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს აღებ-მიცემობის მონოპოლია. ქართველი მუშაც ამავე ეროვნული აზრით უნდა იყოს გამსჭვალული..." („ცნობის ფურცელი", ტფილისი, *1901*.)

„ეს ჯგუფი, წერს **აკაკი პაპავა**, კლასთა წინააღმდეგობას ხედავდა, მაგრამ პირველ რიგში ერთა ბრძოლას (რუსიფიკაციას, ტერიტორიის გამოცლას, ქართველთა პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ დევნას საკუთარ მიწა-წყალზე) ამჩნევდა და უნდოდა ამ ბრძოლისათვის კლასთა ინტერესებიც მსხვერპლად მიეტანა, სოციალური მოწინააღმდეგენი ეროვნული დროშის ქვეშ ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად დაეჯენებია, მაგრამ საჭიროა ეხლავ მშრომელთა გაღონიერება და მისი კულტურულ-ეროვნული ამაღლება." („სახალხო საქმე", ბუენოს-აირესი, *1952* წ.)

საქ. სოც. ფედერალისტთა პარტია იყო დიდი ეროვნულ-სოციალისტური მოძრაობა, არა ...ტური. სავალდებულო არ იყო ჯფილიჯვი მაინც და მაინც სოციალისტი. მთავარი იყო ეროვნული საკითხი, და ამ პარტიაში მოღვაწეობდა საუკეთესო ქართველი ინტელიგენცია, რომელიც იდგა ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის ნიადაგზე. რადგან: „ტერიტორიის გარეშე არც ერთი ერი წარმოშობილა. მართალია ერს, რომელმაც დაჰკარგა საკუთარი ბინა, შეუძლია შეინარჩუნოს და განავითაროს კიდეც თავისი ეროვნული „მე", მაგალითად ებრაელები, მაგრამ მას რომ საკუთარი ტერიტორია არ ჰქონოდა, იგი ერის სახეს ვერ მიიღებდა."(**ალექსანდრე შათირიშვილი**: „ერის რაობა და მშობლიური გრძნობა", პარიზი, *1963*.) და სწორედ პირველ რიგში სოც. დფედერალისტთა პარტია აჟენებდა ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას, წინააღმდეგ კულტურული ავტონომიისა, რადგანაც ერი არ არსებობს ტერიტორია ერის გარეშე.

როგორც ეს ცნობილია, გაზეთ „ცნობის ფურცელის" რედაქციაში დაისვა საკითხი არალეგალური გამოცემის შესახებ, რადგან იქ უფრო თავისუფლად და ფართოდ გაშუქდებოდა საკითხი საქართველოს ავტონომიის, კავკასიის ერთა ფედერაციისა. ამის თაობაზე გ. ლასხიშვილი წერს: „არჩილმა ერთერთ კრებაზე დასვა საკითხი არალეგალური ბეჭდვითი ორგანოს გამოცემაზე და საჭიროდ მიიჩნია რომ იგი საზღვარგარეთ გამოეცათ...უკვე *1901* წლის შემდეგომაზე ჩვენი წრე შეუდგა საქმისათვის საჭირო თანხის შეგროვებას. ავირჩიეთ სამი კაცი: **არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, ევტიხი მიმინოშვილი,** რომელთაც დაევალათ ფულის შეკრების ორგანიზაცია და გაძღოლა." (გ. ლასხიშვილი: „მემუარები.") ა. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი და ასოთამწყობი მიხეილ კიკნაძე გაემგზავრენ პარიზს, სადაც დაიწყეს გაზეთ **„საქართველოს"** გამოცემა ქართულად და **ლა ჟეორჟი** –ფრანგულად. გაზეთ „საქართველოს" რედაქციის თაოსნობით ჟენევაში იქნა *1904* წელს მოწვეული ე.წ. ქართველ რევოლუციონერთა კონფერენცია, რომელმაც ოფიციალურად საფუძველი ჩაუყარა **საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას.** ამ საკითხს ეხება სოც. დემოკრატიული პარტიის ლიდერი, პრეზიდენტი **ნოე ჟორდანია** თავის „ჩემი წარსულში": ...ამ დროს საქართველოში მოხდა შემდეგი ამბავი: მიუხედავათ *1901* წლის დიდი რეპრესიებისა, დაწყებული მოძრაობა არა თუ არ შენელდა, კიდევ უფრო გაიზარდა. ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა განზე გამდგარ და მტრულად განწყობილ ინტელიგენციაზე და შეიტანა მასში რყევა. ერთი ნაწილი გამოეყო და ახალგაზრდებთან ერთად დაადგენ ახალ გზას. მათ იცნეს მოძრაობა, მაგრამ მოინდომეს თავის რეალებზე შეჯენება. ამ ჯგუფს მეთაურობდა არჩილ ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი და სხვ. მათ *1904* წელს დაიწყეს გამოცემა ქართულათ და ფრანგულათ ჟურნალის „საქართველო" პარიზში. ამ მათ ინიციატივას შევხვდი დადებითად და კიდევაც მოვათავსე რამდენიმე წერილი ამ მოძრაობაზე ჩვენში, მაგრამ ჩქარა გამოჩნდა მათი განსხვავებული ტენდენციები, რის გამო არ. ჯორჯაძეს გამოვუცხადე პირადათ, რომ ჟურნალში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. იმავე წელს მათ მოაწყეს ჟენევაში კონფერენცია, სადაც ჯგუფი ქართველ სოც. დემოკრატებისა იყო მიწვეული, მოწვევა მივიღეთ, მაგრამ იქვე წავიკითხეთ ჩვენი განცხადება, რითაც ვაცნობდით კრებას ჩვენს უარყოფით დამოკიდებულებას კონფერენციისადმი. კრება დავტოვეთ, შემდეგ დაიწყო პოლემიკა. რაში იყო ძირითადი განსხვავება? კონფერენციამ გამოაცხადა დაარსებულად სოციალ-ფედერალისტთა პარტია, რომლის ძირითად დოქტრინად აღიარა ორი ახალი დებულება: საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა და ამ დროშის ქვეშ ჯელა რევოლუციონური და პროგრესიული ძალების დადგომა. ეს უნდა გამხდარიყო „საერთო ნიადაგი" ჯელა კლასის და წოდების შორის და სხვა. აი „ეს საერთო ნიადაგი" გახდა ჩვენთვის ჯოვად მიუღებელი...სოც. ფედერალისტების წინააღმდეგ დავბეჭდე ჟენევაში ბროშურა, „ქართველი ნაციონალისტები" და გადავგზავნე საქართველოში. შემდეგ პოლემიკა გაგრძელდა საქართველოში..."

დიახ, მართალია, ...ის შემდეგ პოლემიკა გაგრძელდა საქართველოში და მერე როგორი? იქამდეც კი მიდიოდნენ ჯრილობებზე თუ მიტინგებზე, რომ სოც. ფედერალისტების პარტიას უწოდებდნენ თავადაზნაურების პარტიას, რომელსაც სურდა საქართველოში ბატონყმობის აღდგენა, რეაქციონერ-მონარქისტებს და სხვა დემაგოგიურ ეპითეტებს. სოც. დემოკრატია სასტიკი მტერი გახდა ტერიტორიალური ავტონომიისა და ფედერაციისა. მათ ტერიტორიალურ ავტონომიას დაუპირისპირეს ე.წ. კულტურული ავტონომია და გამოდიოდენ იმპერიის ფარგლებში დარჩენის და არა მის საწინააღმდეგოდ. ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე სოც. ფედერალისტებზე წერდა: „მათი დასაყრდენია გაკოტრებული თავად-აზნაურობა, ქართველი უნიადაგო ინტელიგენცია; მათ ემხრობოდა თითო-ორო-

ლა შეუგნებელი გლეხი და ქალაქის ხელოსნები, რომ სოც. ფედერალისტთა პარტია გაჟღენთილი იყო წვრილბურჟუაზიული მეშჩანური იდეებითა და ნაციონალისტური მისწრაფებებით. ისინ ანტისოციალისტური და ანტიდემოკრატიული და სხვა."(**ქართული ისტორიოგრაფია**, თბილისი, *1968*)

ამგვარად, საქ. სოც. ფედერალისტთა პარტიას მოუხდა ორ ფრონტზე გააფთრებული ბრძოლა: მარცხნიდან მას უტევდენ ჭელა ჯორის მარქსისტები, ხოლო მარჯვნიდან—რუსი რეაქციონერ-შავრაზმელები.

სოც. ფედერალისტთა პარტია და მისი მოძღვარი არჩილ ჯორჯაძე ქადაგობდა ეროვნულ სოციალიზმს, სოციალიზმს ჩასახულს ერის წიაღში, შეგუებულს ქართულს ეროვნულ პირობებთან, მის ისტორიულ წარსულთან, მის ეროვნულ მეურნეობის აღორძინებასთან. მაგრამ არ. ჯორჯაძის ეროვნული სოციალიზმი არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს იყო გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმი, ან იტალიაში ფაშიზმი. „რასაკვირველია სოციალისტური ნაციონალიზმი არ იყო დღევანდელი ნაციონალ-სოციალიზმი გერმანიაში, ან ფაშიზმი იტალიისა, მაგრამ იგი იყო მეცნიერული საფუძვლის მქონე მოძღვრება, რომელიც ერს სცნობდა იმ მუდმივ საზოგადოებრივ არსებათ, რომლის წიაღში იყო შესაძლებელი ჯეველგვარი სოციალური ცვლილება. ამ მარქსიზმის სრული საწინააღმდეგო თეორიით განხილული ჯეველი საკითხი—კლასთა ბრძოლა, მოშათა, გლეხთა და სხვა.—სულ სხვა ნათლით იყო გაშუქებული და პოლემიკასაც სოც. დემოკრატებთან უფრო საფუძვლიანი ხასიათი მიეცა, თუმცა უფრო მკაცრად, რადგან მარქსიზმს ეხლა ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა საქმე." (**მიხეილ წერეთელი**: „არჩილ ჯორჯაძის სახსოვრად", „სახალხო საქმე", ბუენოს-აირესი, *1952*.)

ეროვნულ საკითხს თავის დროზე შეეხო დიდი ილიას თანამებრძოლი, თვალსაჩინო საზოგადო და ლიტერატურული მოღვაწე **გიორგი წერეთელი**, რომელიც ამბობდა: „ჩვენს ბედში მჯფი ხალხი, ორივე ხელებით უნდა ვეჭიდებოდეთ ჩვენს ისტორიას, ჩვენს ქართველობას...რუსეთთან ძმობის გამოცხადება მანამდე შეუძლებელია, სანამდის მის მთავრობას ბრჭყალებში ვყავართ გამოკლული და რუსი ხალხიც იმას სცდილობს, რომ თავის მთავრობის ძალღონით ჩვენ წაგვართვას უხსოვარ დროიდან ჩვენი კუთვნილი მიწა-წყალი, თბილი ჰავა და მშვენიერი ბუნება და თავათ დაიჭიროს. ამ გარემოების ძალით, ჩვენ უნდა ვიყოთ ნაციონალ-სოციალისტები მანამდის, სანამდის ქვეყანაზე დაჩაგრული ნაციები, როგორც ჩვენა ვართ, არ განთავისუფლდებიან სხვა, უფრო ძლიერი ნაციის ბატონობისაგან." (**ი. მანწკავა**: „გიორგი წერეთელზე". „**ქართველი ერი**" №*10 - 11*, ბერლინი, *1944*.)

საქ. სოც. ფედერალისტთა პარტიას რუსეთის თვითმპყრობელური იმპერიის დანგრევა და მის ნანგრევებზე თავისუფალი საქართველოს აღდგენა შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ რევოლუციური გზით, ამიტომ მას ეწოდა „სარევოლუციო" პარტია.

საქ.—ს ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნა იმ დროს მართლაც რომ გაბედული მოთხოვნა იყო, ამიტომ ასე სასტიკად ებრძოდა რუსეთის ცარისტული მთავრობა სწორედ სოც. ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას, რადგან ამ მოთხოვნაში ის ხედავდა იმპერიის დაშლის, სეპარატიზმის საშიშროებას. "კავკასიაში არსებული რევოლუციონერებიდან ინტერნაციონალური პარტიები, სოციალ-დემოკრატები და სხვები, არ წარმოადგენდენ საშიშროებას იმპერიისათვის, რადგან ისინი მოითხოვენ მდგომარეობის გაუმჯობესებას იმპერიის ფარგლებში დარჩენით, მაგრამ ჭელაზე საშიშნი არიან ჩვენთვის ნაციონალ-სოციალისტები, ე.წ. სეპარატისტები, რომელნიც სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ თავიანთი ერებისათვის. მათთან ერთად ფედერალისტებიც ნაციონალური იდეებით და დამოუკიდებლობის ქადაგებით გამოდიან კავკასიაში. ეს მოძრაობა ჭელაზე მძლავრია საქართველოში. ქართველი ნაციონალისტები მეტად მძლავრი გავლენისანი არიან და დიდ საშიშროებას წარმოადგენენ იმპერიის მშვიდობისათვის. სხვა ერებში ასეთი მოძრაობა ძლიერი არ არის, ამიტომ საჭიროა ამ ძალების სასტიკი განადგურება საქართველოში..."—ასე უპატაკებდა კავკასიის ახრანა საიმპერიო რუსეთის მთავრობას. არ გაუვლია დიდ ხანს და მართლაც *1910* წლის დასაწყისში დაიწყო ჩვენი სასტიკი დევნა. დაეცნენ „ფედერალისტებს" და დააწიოკეს. გაანადგურეს მთელი მათი პარტია, დააპატიმრეს აუარებელი ხალხი..." (მიხეილ წერეთლის სტატია, „სახალხო საქმე", *1917* წ.)

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დარბევა-აწიოკება კვლავ განახლდა *1917* წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. ლენინის მთავრობამ ომი დამთავრებულად გამოაცხადა და ოსმალეთის ფრონტიდან დაიძრა რუსის ჯარი. ისინი გზად არავის და არაფერს ინდობდენ. სხვათა შორის, ქუთაისში ისინი შეიჭრენ სოც. ფედერ. პარტიის საგუბერნიო კომიტეტის შენობაში, მიღეწმოლეწეს ჭელაფერი, გაიტაცეს და დაწვეს დროშები, ჭიროდენ: „დასცხეთ ფედერალისტებს, რუსეთიდან გამოყოფა უნდათო" და სხვა. გაშმაგებული ბრბოს დაშოშმინება შესძლო მხოლოდ **ალექსანდრე წე-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთლის ორატორულმა მჭერმეტყველებამ. იმავე წელს ქუთაისის ქალაქის შუაგულში გაიმართა დიდი მიტინგი. ფედერალისტების დროშას ეწერა: **„ეროვნული გზით სოციალიზმისაკენ!“ „მიწა, მიწის მუშას!“** ზოგიერთ დროშაზე კი დახატული იყო არჩილ ჯორჯაძის სურათი წარწერით: **„ვაშა მებრძოლს.“** მიტინგზე კვლავინდებურად შემოიჭრენ რუსი ჯარისკაცები და დაერივნენ ფედერალისტებს. წაართვეს დროშები და დახიეს პლაკატები. ამ ბრბოს დაშოშმინება შეძლო ისევ და ისევ ალ. წერეთელმა. (იხ. **მინდია ლაშაური**: „ძვირფასი თარიღი“, „სახალხო საქმე“, ბუენოს-აირესი, *1952*.)

ავტონომია-ფედერაციასთან დაკავშირებით, ექიმმა **ვასილ წერეთელმა** გამოსცა დიდი შრომა: „ავტონომია და ფედერაცია“, რომელიც მოითხოვდა საქართველოს პოლიტიკურ-ტერიტორიულ ავტონომიას და გულისხმობდა საქ–ს შინაური საქმეებში სრულ დამოუკიდებლობას, ქართ–ღი ერის ინტერესებთან შესაფერისად. საქ–ს უფლებებისათვის ბრძოლაში ვასილ წერეთელი ეჯდნობოდა *1783* წ. ტრაქტატს და, როცა მოითხოვდა ფედერაციას, ეს უნდა ყოფილიყო ფედერაცია თავისუფალ ერებისა. ვ. წერეთელი უტყუარი არგუმენტებით ამტკიცებს, რომ „ფედერაცია დიდ ერთან, მით უმეტეს იმ ერთან, რომელიც წინად პატარა ერების მპყრობელი იყო, შეუძლებელიაო.“

დიდი ილიას თაობამ გაბედულად აღმართა ეროვნული დროშა. ეს დროშა ხელში აიღო და აღმართა ახალ ვითარებასთან შეგუებით სოციალის-ფედერალისტების პარტიამ. ყველა ჯურის მარქსისტებს საქართველოში არ სურდათ დაენახათ ეს დიდი ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათ წრეებსაც მოედვა „ეროვნული იდეის სენი.“ *1905* წლიდან, ეროვნულად მოაზროვნე სოციალ-დემოკრატმა **ლადო დარჩიამ** შეჰქმნა ჯგუფი „ავტონომისტების“. მან დააარსა გაზეთი **„ალიონი“**, სადაც თავგამოდებით ქადაგობდა საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიის იდეას. ლადო დარჩიაშვილს მიემხრო ცნობილი ექიმი და პუბლიცისტი, სოც. დემოკრატი **ივანე გომართელი**, რომელმაც ავტონომიის საკითხს უძღვნა მთელი რიგი შრომებისა, მათ შორის ყველაზე საინტერესოა: **„საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია, ანუ ეროვნულ–ტერიტორიალური თვითმმართველობა“**, რომელიც დაიბეჭდა თბილისში *1917* წელს. ამგვარად, ეროვნულმა იდეამ გაიმარჯვა საქართველოში და ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ქედი მოიხარეს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წინაშე და, როგორც არჩილ ჯორჯაძემ თქვა: „შეთანხმება შესაძლებელიაო“,–ეს შეთანხმება მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, როცა ქართველი სოც. დემოკრატები გამოეყენენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და დააარსეს საკუთარი პარტია: **საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.** მარქსისტ-ნიჰილისტები კი სამარცხვინოდ დამარცხდნენ საქართველოში.

საქ. სოც–ფედერალისტთა პარტიული გამოცემები ჩვენში და უცხოეთში

1901 წლიდან გაზეთ „ცნობის ფურცელი“-ს ირგვლივ თავს იყრიან ჩვენი პარტიის იდეოლოგიის მოციქულები. *1903* წლის *1* მაისს გამოდის ჟურნალ „საქართველოს“ პირველი ნომერი და იმ ხანადვე პარიზში იცემა ფრანგულ ენაზე „ლა ეეორჟი“. ამ გამოცემაში მოხდა პარტიის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება.. *1904 -5* წლების განმავლობაში გარდა დასახელებული გამოცემებისა გამოდიოდენ „გლეხი“ და „მიწა.“ შემდეგ გამოდიოდა გაზ. „კოლხიდა“, „იმერეთი“, „მეგობარი“, „ხალხის მეგობარი“, „სოციალისტ-ფედერალისტი“, „სახალხო საქმე“, „შრომა“, „ისარი“, „ამირანი“, „სახალხო გაზეთი“, „ზვირთი.“

1926 წელს პარიზში განახლდა „სახალხო საქმის“ გამოცემა სამსონ ფირცხალავას რედაქტორობით. სოც. ფედერალისტების პარტიის ახალგაზრდობის ორგანიზაციას ჰქონდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო: „მებრძოლთა ხმა“, რომელიც საქ.–ს დამოუკიდებლობის დაცემის შემდეგ არალეგალურად გამოდიოდა ტფილისში.

გამოჩენილი პარტიული მოღვაწეები

ქართველმა ინტელიგენციამ კოლოსალური როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების და მეობის გაძლიერება-გამტკიცების საქმეში და მოამზადა იგი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ამ მხრივ საქ–ს სოც. ფედერალისტთა პარტიაში შედიოდნენ და მოღვაწეობდნენ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. დავასახელოთ ზოგიერთი მაინც: **არჩილ ჯორჯაძე,** პარტიის იდეოლოგი, **გიორგი ლასხიშვილი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, გიორგი ზდანევიჩი, თედო სახოკია, ვალერიან გუნია,**-ცნობილი დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, „ცნობის ფურცლის“ დამაარსებელი, მწერალი; **სვიმონ მდივანი**–საქ. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგილე, საქართველოს ელჩი თურქეთში, **შალვა მესხიშვილი**—განთქმული იურისტი, საქ—ს პირველი კოალიციური ეროვნული მთავრობის იუსტიციის მინისტრი, ძმები **ვასილ და მიხეილ წერეთლები, ალექსანდრე წერეთელი**—თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ისტორიკოსი, ახლო-აღმოსავლეთის ისტორიის მრავალ მეცნიერულ შრომების ავტორი, შესანიშნავი ორატორი, **გრიგოლ რცხილაძე**-უნივერსიტეტის პროფესორი, **აკაკი პაპავა**—ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, **დავით კლდიაშვილი**,სახელგანთქმული მწერალი, დრამატურგი, **სამსონ ფირცხალავა, შალვა ნუცუბიძე**—პროფესორი, ორატორი, მრავალი სამეცნიერო შრომების ავტორი, **სოსო გედევანიშვილი**—საზ. მოღვაწე, დრამატურგი, ნიჭიერი მხედართმთავარი. მან შეადგინა სოც. ფედერალისტთა სამხედრო რაზმი, რომელმაც გაწმინდა საქ. სამხედრო გზა ბოლშევიკურ ბანდებისაგან და იხსნა გაჭირვებაში მოქცეული დარიალის მფრინავი რაზმი, რომელსაც მეთაურობდა კაპიტანი **ფალიანი, თედო ღლონტი**—თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, შრომების ავტორი ავტონომიასა და ფედერაციაზე, აგრარულ საკითხზე; რენეგატი, დადგა საბჭოთა პლატფორმაზე, დააარსა უდღეური მემარცხენე ფრთა სოც. ფედერალისტთა პარტიისა, დააარსა გაზეთი „ტრიბუნა“, ბოლოს გადაბარგდა კომუნისტურ პარტიაში, მაგრამ *1937* წელში დახვრიტეს; **არისტო ჭუმბაძე**—მწერალი, **ვახტანგ კოტეტიშვილი**, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, მრავალი შრომების ავტორი და სხვები

საქ—ს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ ღირსეულად ემსახურა სამშობლოს. მან გავლო *80* წლის სახელოვანი გზა და შეუძლია თამამად თქვას: *Exegi monumentum.*

მინდია ლაშაური
დეკემბერი *1982*.

ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენცია

ქვემოდ გბეჭდავთ რეზოლუციებს ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციისას, რომელსაც დაესწრნენ: ქართველი წევრები სრულიად რუსეთის სოც. დემოკრატებისა, ქართველი ანარქისტები, გაზეთ „საქართველოს“ მომხრენი და ქართველი წევრები რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა. კონფერენციის ოქმებსაც მოკლე ხანში ცალკე წიგნად გამოვცემთ. რეზოლუციების შინაარსი და ხასიათი დაანახვებს ჩვენს მკითხველებს, რომ ქართველ რევოლუციონერთა წრეებში ფრიად შესანიშნავი და დიდმნიშვნელოვანი ცვლილება და მოძრაობა ხდება. ამ მოძრაობას აქვს აზრად შეაერთოს და შეაკავშიროს აქამდე განცალკევებული ჯგუფები. და, რაიც ფრიად საგულისხმოა, შეერთება ფედერატიულ-სოციალისტურ ნიადაგზე ხდება. ფედერალიზმი და სოციალიზმი—ეს ის ორი ფორმულაა, რომელშიაც გამოისახება ქართველ ხალხის უმაღლესი მისწრაფება; რომელიც სპობს ჩვენს ცხოვრებაში დამკვიდრებულ ყოველგვარ ძალმომრეობისა და უსამართლობის წესს. ფედერალიზმი—ლიკვიდაციაა ჩაგვრისა ერთის ერისა მეორე ერის მიერ. სოციალიზმი—გაუქმებაა დამონავებისა ერთი კლასის და ერთი ადამიანისა მეორე კლასის და მეორე ადამიანის მიერ. ამ დიადმა პრინციპებმა შეაერთა კონფერენციის წევრები და დაუდვა საფუძველი **ქართველ ფედერალისტ-სოციალისტთა სარევოლუციო** პარტიის დაფუძნებას. „**საქართველო**“ აღიარებულ იქმნა ამ პარტიის ორგანოდ.

მეორე დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც აღნიშნულ იქმნა კონფერენციაზედ, არანაკლებ საგულისხმოა: კონფერენციაში მონაწილეობა არ მოინდომეს ქართველ სოციალ-დემოკრატებმა. ჩვენ არ გვსურს იმ საბუთების გარჩევა, რითაც თავს იმართლებენ ხუთი ქართველი წევრი სრულიად რუსეთის ს.-დემოკრატთა პარტიისა. მათი პოზიცია ისეთი სუსტია, მათი არგუმენტაცია ისეთი საცოდავია და მათი საქციელი ისეთი სამარცხვინოა, რომ ყოველივე ეს ლაპარაკადაც არა ღირს. ჩვენ მხოლოდ გვსურს აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ს.-დემოკრატები გაშორდნენ კონფერენციას სჯა-ბაასის, პრინციპიალურ კითხვების გარჩევის შემდეგ კი არა, არამედ დასაწყისშივე, როდესაც ჯერ კიდევ აზრთა შეხლა არ მომხდარიყო და, მაშასადამე, ჯერ არ იყო გარკვეული, რომელი რევოლუციონური ჯგუფი რომელს ეთანხმებოდა, თუ ეწინააღმდეგებოდა. ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ იმ ფრაქციამ ქართველ ს.-დემოკრატებისამ, რომელიც რუსეთის ს.-დ. ცენტრალურ კომიტეტის ქსელში გაება, თავის ხელითვე თავი მოიჭრა, რადგან მეტად თვალსაჩინოდ გამოააშკარავა შიში თავისუფალ კამათობისა და აზროვნობისა.

ჩვენი ხალხი წაიკითხავს კონფერენციის მიერ შემუშავებულ რეზოლუციებს; იგი იქმნება საუკეთესო მსაჯული, ის გადასწყვეტს—ვინა ვართ ჩვენ და ვინ არიან ისინი, ვინც თავისუფლება ბატონ-ყმობას ანაცვალა, ვინც ხელი გაუწოდა იმ სამარცხვინო განწყობილებას, რომელიც რუსეთის

ს.-დ. ცენტრალურ კომიტეტისა და ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის გამტკიცდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** *** ***

ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციაზე დადგენილი რეზოლუციები

1. –რეზოლუცია კონფერენციიდან ქართველ სოც– დემოკრატთა გამოსვლის გამო

სამწუხაროდ, კონფერენციამ პირველ სხდომიდანვე შენიშნა, რომ სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატულ პარტიის ქართველნი წევრნი ობსტრუქციის და სხვა საშუალებათა მეოხებით, ცდილობდნენ პირველ თავისუფალ კონფერენციის ჩაშლას და თავიანთის აზრის განსახორციელებლად მიმართეს შემდეგ ხერხს: *1*) მათ სურდათ სხვადასხვა მიმართულებათა წარმომადგენლების კონფერენცია უბრალო საკამათო კრებად (*reunion contradictoire*) გაეხადათ. *2*) ეს წევრნი გამოუდგნენ ხანგრძლივსა და უნაყოფო ძიებას, თუ ვის ეკუთვნოდა ინიციატივა კონფერენციის მოწვევისა, მიუხედავათ იმისა, რომ კონფერენციის მომწვევმა ბიურომ აუხსნა, რომ ეს არ უთავნია არც კერძო პირს, არც რომელსამე კერძო ჯგუფს, რომ ეს კონფერენცია მოწვეული იყო სხვადასხვა ჯგუფებისა და ამასთან „საქართველოს“ რედაქციის სურვილის თანახმად.

3) ქართველი ს.-დემოკრატები იმის ცდაში იყვნენ, რომ დაემტკიცებინათ: კონფერენციას უფლება არა აქვს ამა თუ იმ კითხვების შესახებ რაიმე დაადგინოს და რეზოლუცია გამოაცხადოსო, თუნდ ისეთი რეზოლუციაც, რომელსაც, როგორც კონფერენციაზე გამოირკვა, არავისთვის, არც კერძო პირისა და არც ჯგუფისათვის, სავალდებულო ხასიათი არ უნდა ჰქონოდა. ამგვარი აზრი აქარწყლებდა ელემენტარულ უფლებას ყოველგვარ კრებისას და მით უფრო კონფერენციისას.

რადგანაც კონფერენციის დიდმა უმეტესობამ არ შეიწყნარა ს.-დ. ზემოაღნიშნული მოსაზრება, სრულიად რუსეთის ს.-დ. პარტიის ქართველმა ხუთმა წევრმა კრება მიატოვა.

კონფერენცია თავის მწუხარებას აცხადებს, რომ ქართველთა შორის აღმოჩნდა ისეთი ფრაქცია, რომელმაც ქართველ სარევოლუციო ჯგუფთა პირველ თავისუფალ კონფერენციაზედ არ მოისურვა სხვებთან ერთად გულწრფელი მონაწილეობა მიეღო ქართველ ხალხის საჭირბოროტო კითხვათა გამორკვევის საქმეში.

*** *** ***

2. რეზოლუცია სეპარატიზმის, ავტონომიის და ფედერაციის შესახებ

კონფერენცია აღიარებს რა:

რომ კაცობრიობის ევოლუცია მიმართულია თავისუფალ ერთა გაერთიანებისა და სოლიდარობისსაკენ;

რომ ავტონომიურ ერთა ფედერაცია საუკეთესო ფორმაა მათს შორის თანხმობისათვის და მასთან უტყუარი ნიადაგი ამ ერთა საზოგადოებრივი, ზნეობრივ და გონებრივ განვითარებისა;

რომ ეს ფედერაცია აგრეთვე უტყუარი ნიადაგია ეკონომიურ თანასწორობის დამკვიდრებისათვის;

რომ რუსეთის დესპოტიზმი შეუძლებელ ჰყოფს და წინ ეღობება ამ მისწრაფებათა განხორციელებას და, რომ ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ამ დესპოტიზმის დასამხობად გავმართოთ სარევოლუციო ბრძოლა იმ რუსებთან და რუსეთში მცხოვრებ ერებთან ერთად, რომელნიც ამავე აზრს ემხრობიან,– ქართველთა კონფერენცია უარჰყოფს სეპარატიზმს, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩაითვლება ერთა სოციალურ განვითარებისა და ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცების თავდებად და აცხადებს, რომ განთავისუფლებულ საქართველოსათვის საუკეთესო და უსაჭიროესი პოლიტიკური წეს-წყობილება უნდა იყოს–ავტონომიური საქართველო, სხვა ერებთან ფედერატიულად შეკავშირებული.

*** *** ***

3. –რეზოლუცია გლეხთა კითხვის შესახებ

აღვიარებთ რა:

რომ საქართველოში ფეოდალურ წყობილების ნაშთები ჯერ კიდევ ცოცხალია (ქართლი)

რომ ბურჟუაზიული პირობებიც დამკვიდრდნენ (გურიაში)

რომ ყოველივე ეს ეკონომიურ ცხოვრების წინააღმდეგობას და კლასთა ბრძოლას ამწვავებს;

რომ ამ წინააღმდეგობის და თვით კლასებრივ საზოგადოების მოსპობისათვის,–საჭიროა კერძო საკუთრების გაუქმება,

ვაცხადებთ, რომ მიწის სოციალიზაცია (გასაზოგადოებრივება) და მასთან ერთად გლეხთა სინდიკატების, საწარმოვო კოოპერაციათა და სხვა კავშირთა შემოღება არის ერთი საუკეთესო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალებათაგანი სრულ ეკონომიურ თანასწორობისა და სამართლიანობის განხორციელებისათვის.

*** *** ***

4. – **რეზოლუცია მუშათა კითხვის შესახებ**

აღვიარებთ რა:

რომ მუშათა კლასთა სოციალური და ეკონომიური განთავისუფლება უნდა იყოს უმთავრესი მიზანი სოციალურ-რევოლუციონურ მოძრაობისა;

რომ განთავისუფლება მოხდება მხოლოდ თვით მუშათა მიერ, რომელნიც შეადგენენ ფედერატიულად შეკავშირებულ ავტონომიურ და რევოლუციონურ ორგანიზაციებს;

რომ რუსეთშიაც და კავკასიაშიც ამ აზრის განხორციელებას უმთავრესად წინ ეღობება დესპოტიური თვითმპყრობელობა, რომელიც ჯაზახებისა, ჯარისა და პოლიციის შემწეობით დამცველია კაპიტალისტთა და მიწისმფლობელთა;

რომ ფედერატიულად შეკავშირებულმა კავკასიის ჯელა ეროვნებათა მუშებმა, რუსეთში მცხოვრებ სხვა ერების მუშათა ორგანიზაციებთან ერთად ძმურად, მედგარი და შეუწყეტელი სარევოლუციო ბრძოლა უნდა გასწიონ თვით-მპყრობელობის დასამხობად, რომ ამ საშუალებით შეაერთონ მუშათა კლასები სრულ პოლიტიკურ და ეკონომიურ თავისუფლების მოსაპოვებლად.

*** *** ***

5. – **რეზოლუცია სარევოლუციო ტაქტიკის შესახებ**

აღვიარებთ რა:

რომ ქართველმა ხალხმა უნდა იბრძოლოს: ა) სოციალურ სამართლიანობისა და ეკონომიურ თანასწორობისათვის და ბ) ეროვნულ უფლებათა აღდგენისა და კავკასიის სხვა ერებთან ფედერატიულის კავშირით შეკავშირებისათვის;

რომ მშვიდობიანის გზით და კანონიერის ზომებით ქართველი ხალხი ვერ განახორციელებს თვისთა მისწრაფებათა, არამედ მხოლოდ რევოლუციონურ გზით, იარაღით ხელში, შეიძლება ამ მისწრაფებათა განხორციელება;

რომ საჭიროა ბრძოლა არა მარტო თანამედროვე თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ, არამედ მომავალ ცენტრალისტურ რესპუბლიკასთანაც კი, რომელიც შესაძლებელია რუსეთში დაარსდეს და გადაეღობოს წინ ქართველ ხალხის სოციალურ, ეკონომიურ და ეროვნულ განთავისუფლებას;

ვაცხადებთ,

რომ ამ ბრძოლის დაგვირგვინებისათვის საჭიროა: არაღეგაღური ლიტერატურის გავრცელებისა და სიტყიერ პროპაგანდის გარდა, ორგანიზაცია ხალხისა პოლიციასა და ჯართან შეტაკებისათვის გაფიცვებისა და დემონსტრაციების დროს, ორგანიზაცია სარევოლუციო რაზმთა ბიუროკრატულ, სამხედრო და სხვა ამგვარ დაწესებულებათა დასამხობ-აღმოსაფხვრელად.

*** *** ***

6. – **რეზოლუცია შესახებ იმ განწყობილობისა, რომელიც ქართველ რევოლუციონერებმა უნდა იქონიონ რუსეთში მცხოვრებ ეროვნებათა სხვადასხვა პარტიებთან–**

კონფერენცია ქართველ სარევოლუციო ჯგუფთა უცხადებს თანაგრძნობას და მზად არის დახმარება აღმოუჩინოს ჯელა ოპოზიციონურ და სარევოლუციო პარტიებს, რომელნიც იბრძვიან რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რუსის ხალხისა და აგრეთვე რუსეთის მთავრობის მიერ ჯელა დაჩაგრულ ერთა პოლიტიკურ განთავისუფლებისათვის.

*** *** ***

7. – **რეზოლუცია სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატთა პარტიის შესახებ**

აღვიარებ რა:

რომ ისტორიაში ხალხთა პოლიტიკური მოძრაობანი ყოველთვის ცენტრალიზმის წინააღმდეგ იყენენ მიმართულნი და ფედერალიზმისაკენ მიისწრაფვოდნენ;

რომ რომელისამე პარტიის პროგრამაში ცენტრალისტურ პრინციპის აღიარება რეაქციონურ პრინციპის აღიარებას უდრის და სრულიად ეწინააღმდეგება სოციალიზმსაც, რომელმაც აღიარა თავისუფლება არამც თუ თვითოეულ ერისა, არამედ ყოველ თავისუფალ პროვინციისა;

რომ სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, თანახმად მისის პოლიტიკურ პროგრამისა, სწორედ ამ უკულმართს და თავისუფლების შემზღუდველ გზას ადგია, რაიც ხელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშლის ეროვნულ კითხვის სამართლიან გამორკვევას, ხელს უშლის გამორკვევას იმ კითხვისას, რომლის ჯეროვანმა გადაწყვეტამ უნდა შეუწყოს ხელი მუშათა კლასების განთავისუფლებას;

რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია **სოციალიზმის სახელით** აწვდის ხალხს დემოკრატულ პროგრამას და მით ხელს უშლის ნამდვილ სოციალიზმის გავრცელებას რუსეთსა და ჩვენში;

რომ იგი პარტია გლეხთა ინტერესებს არ იცავს: სოფლის პროლეტარიზაციის საჭიროებას ჰქადაგებს, ხოლო ამასთანავე გლეხობას მიწის რაღაც „ნაგლეჯებს" ანიჭებს, რაიც ერთმანეთს არ შეესაბამება;

რომ იგი მიწის სოციალიზაციის წინააღმდეგია დღევანდელ პირობებში;

ვაცხადებთ,

რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია, დოგმებით შებოჭილი, ერთის მხრივ ნაციონალისტურ შოვინიზმით არის გამსჭვალული, მეორეს მხრივ, იგი ჩამორჩა ხალხის სარევოლუციო მოძრაობას და თავისუფლებისაკენ მისწრაფებას.

რაიც შეეხება ქართველ სოციალ-დემოკრატულ ჯგუფს, ჯელა ზემოაღნიშნულ თვისებათა და ნაკლულოვანებათა გარდა, მას ის ნაკლიც ემატება, რომ იგი მონად და იარაღად გამხდარა სრულიად რუსეთის ს.-დ. ცენტრალურ კომიტეტისა და მით, თავის პიროვნების უარყოფასთან ერთად, თავისუფალ სოლიდარობას არჩია ნაძალადევი ერთობა ქართველ და რუს პროლეტართა შორის.

*** *** ***

8. – რეზოლუცია გაზეთ „საქართველოს" შესახებ

რადგან კონფერენციის წევრებმა დიდი ხმის უმრავლესობით სრული სოლიდარობა და თანხმობა გამოაცხადეს მუშათა, აგრარულ, ეროვნულ და სარევოლუციო ტაქტიკის კითხვათა გამორკვევის დროს (იხ. რეზ.);

რადგან „საქართველოს" რედაქციის წარმომადგენლებმაც აღნიშნულ კითხვათა განმარტების დროს სრული თანხმობა გამოუცხადეს კონფერენციას,

კონფერენცია აცხადებს სურვილს, რომ „საქართველო" აღიარებულ იქმნას კონფერენციის აზრთა გამომსახველ ორგანოდ და, თანახმად რედაქციის წინადადებისა, დაერქვას: „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო".

(გაზ. „საქართველოს" დამატება; სტამბა: *51, rue Saint-Sauveur, Paris*)

***

ლების“ ქართულ რედაქციაში სამუშაოდ მიავლინა: **რაჟდენ** (მიშა) **არსენიძე** (უფროსი რედაქტორი), **დავით ურატაძე** (ორივე საფრანგეთიდან), დოქტორი **ილია კუპუხიძე** და **ნიკო იმნაიშვილი** (ორივე დასავლეთ გერმანიიდან). რამდენიმე თვის მოგვიანებით კი—დოქტორი **კარლო ინასარიძე.** *1956* წლიდან ტრაგიკულ დაღუპვამდე(*1958*) რადიოში მოღვაწეობდა **ვალერიან (ვალიკო) ინწკირველი,** *1958* წლიდან პენსიაში გასვლამდე (*1968*)—ბ. **მოსე იმნაიშვილი,** *1963* წლიდან: ბ.ბ. **იოსებ ყორ-ყოლიანი, შალვა კალანდაძე** (პენსიაში გასვლამდე-*1974* წ.), **დავით პეკურიძე** (პენსიაში გას. *1976*), *1967* წელს მუშაობა დაიწყეს: **გულნარა პატარიძემ-ურატაძისამ** (ამჟამად შვებულებაში), **მათე კე-რესელიძემ** (გარდაიცვალა *1970* წ.), *1973* წლიდან მუშაობს ბ. **ნუგზარ შარია,** *1974* წლიდან—ბ. **იაკობ გაგულაშვილი,** *1979* წლიდან—ბ. **კობა მელიქიშვილი,** *1980* წლიდან—ბ. **იაკობ კრიხელი.**

როგორც ზევით აღვნიშნეთ, დღიდან ჩამოყალიბებისა, რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედაქციას განაგებდა დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი მიშა არსენიძე, რომელიც პენსიაში გავიდა *1962* წელს და დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. *1962* წლიდან დღემდე რედაქციის მთავარი რედაქტორია დოქტორი კარლო ინასარიძე.

თუ დასაწყისში ქართული გადაცემების ხანგრძლივობა *15* წუთი იყო, რომელიც ათჯერ მეორდებოდა დღე-ღამეში, შემდეგ ის გაიზარდა და ამჟამად გადაცემათა ხანგრძლივობაა ნახევარსაათიანი სამჯერ და ერთსაათიანი ოთხჯერ კვირაში, რომლებიც მეორდებიან ორიდან შვიდამდე—გადაცემათა ცვალებადობის შესაბამისად. მაგალითად ახალი ამბები იცვლება ორჯერ დღე-ღამეში.

ქართული გადაცემების პროგრამაშია: ახალი ამბები, პრესის მიმოხილვა, კომენტარები, ანალიზები, ინტერვიუები, რეპორტაჟები, კორესპონდენციები, საუბრები მრგვალ მაგიდასთან, დიალოგები და სხ.

ქართულ რადიოს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები მიუნხენში, პარიზში, ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოში მუდმივად და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მიავლინოს თავისი წარმომადგენელი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

როგორია რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის *30* წლის საქმიანობის ბალანსი? ჩვენ გვგონია, რომ ის დადებით და სასარგებლო საქმეს აკეთებს ქართველი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში და, რომ მისი საქმიანობა საერთოდ აღებული დამაკმაყოფილებელია ჩვენი ეროვნული და პიროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ჩვენ მუდამ მხურვალე მომხრე ვიყავით ამ რადიოს დაარსებისა და მერე მისი არსებობის. ჩვენ ის მიგვაჩნდა თითქმის ერთადერთ საშუალებათ რკინის ფარდებში მომწყდეულ ჩვენს თანამემამულეებთან თუ სრული არა, ცალმხრივი ურთიერთობისა მაინც. და ჩემი ეს შეხედულება დღემდე რჩება ძალაში, იმ პირობით, რომ, როგორც დასაწყისში, რადიო იყოს ჩვენს, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციის, კონტროლს ქვეშ.

ჩემი კეთილი და მეგობრული განწყობილება ხელს არ მიშლიდა ხშირად ჩემი კრიტიკული შეხედულებები გამომეთქვა როგორც საჯაროთ, ისე კერძო წერილებით. იყო შემთხვევები, როცა ჩემთვის დამაკმაყოფილებელი არ იყო მასალების შერჩევა და მომზადების ხარისხი, გადაცემათა ლიტერატურული და ინტელექტუალური დონე, ენის სიწმინდე, პარტიული მიკერძოება და სხვა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საერთოდ აღებული, რადიო „თავისუფლების“ გადაცემები კეთილსინდისიერად ემსახურებოდენ თავისუფლებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს და დღეს, მისი დაარსების *30* წლისთავზე გულით მივესალმებით „თავისუფლების“ რედაქციის ქართველ წევრებს და ვუსურვებთ კიდევ მეტ და მეტ წარმატებას ჩვენს სამშობლოს სამსახურში.

რედაქტორი

****

თ ვ ი თ გ ა მ ო ც ე მ ი ს მ ა ს ა ლ ე ბ ი

1. ნ ი კ ო ლ ო ზ ს ა მ ხ ა რ ა ძ ი ს წ ა მ ე ბ ა გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა

ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის კონგრესზე, რომელიც წელს უნდა გაიმართოს, მოსალოდნელი იყო საბჭოთა კავშირის გარიცხვა მისი შემადგენლობიდან, რადგანაც საბჭ. კავშირი ხანგრძლივად და ფართოდ იყენებს ფსიქიატრიას პოლიტიკური მიზნით. საბჭოთა მთავრობამ ამ ორგანიზაციიდან სამარცხვინო გაგდებას დაასწრო და თავისთავად გავიდა მისი წევრობიდან. აღსანიშნავია, რომ კაგებე ფსიქიატრიას ქართველ პატრიოტების მიმართაც იყენებს. ამის ერთ-ერთი მაგალითია **ნიკოლოზ სამხარაძე,** რომლის შესახებაც ახლახან დამატებით მივიღეთ **თვითგამოცემის** მასალები.

ნიკოლოზ სამხარაძე უკანასკნელად კაგებემ დააპატიმრა *1980* წლის *30* მაისს. *1982* წლის

31788

საქართველოს პარლამენტის

30 მაისის ცნობის მიხედვით ის იყო ქალაქ ორიოლის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მის შემდეგ მისი ბედი ჩვენთვის უცნობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითგამოცემის გზით ჩვენამდე მოღწეულ მასალებიდან ცნობილია, რომ ნ. სამხარაძე ... ლისის პირველ საშუალო სკოლაში ასწავლიდა ისტორიას და, რომ გაკვეთილებზე იგი ამხელდა სოციალური უსამართლობისა და რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმის არსს. ნ. სამხარაძე მეორე მსოფლიო ომის მონაწილეა, სადაც იგი მესამე ჯგუფის ინვალიდი გახდა. კაგებეს განუწყვეტელმა დევნა-წამებამ ის აქცია პირველი ჯგუფის ინვალიდად.

1958 წლის *26* აგვისტოს ნ. სამხარაძე გაბედული სტატიით გამოვიდა საქ. განათლების სამინისტროში გამართულ ისტორიკოსთა თათბირზე. მან სასტიკად გააკრიტიკა განათლების მინისტრი გიორგი ჯიბლაძე, რომელმაც საქართველოს ისტორიის სწავლების დროებითი შეწყვეტა მოითხოვა. ჯიბლაძის აზრით, ივანე ჯავახიშვილის, ნიკოლოზ ბერძენიშვილისა და ჯანაშიას ავტორობით შედგენილი საქ.-ს ისტორიის სახელმძღვანელო თითქოს ვრცელ მასალას მოიცავს და ამიტომ მისი სწავლება გაუმართლებელია. მისი თქმით, ზემდგომ ორგანოებს მიაჩნიათ, რომ სანამ ახალი სახელმძღვანელო შედგებოდეს, საქართველოს ისტორიას საქართველოს საშუალო სკოლებში ახალგაზრდობა შეისწავლის სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოს მეშვეობით.

ნ. სამხარაძემ გააკრიტიკა აგრეთვე პედაგოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის მეთოდური კაბინეტის გამგე ლ. ციხისთავი, რომელმაც, ახალი სახელმძღვანელოს შედგენამდე, საქ.–ს ისტორიის კურსის ამოღება მოითხოვა სასწავლო პროგრამებიდან. ნ. სამხარაძემ, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ჯიბლაძე და ციხისთავი თავიანთი საკუთარი სურვილით კი არ მოქმედებენ, არამედ „მბრძანებლის მითითებით". „ისინი გვარწმუნებენ"–განაცხადა სამხარაძემ–„რომ უკეთესია საქ–ს ახალმა თაობამ თავის წინაპართა ოცდაათსაუკუნოვანი ისტორია სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოთი შეისწავლოს, სადაც ქართველი ხალხის ვრცელ ისტორიას დათმობილი აქვს მხოლოს *10* ფურცელი. სსრ კავშირის ისტორიის სამი წიგნი ფაქტიურად რუსი ხალხის ისტორიაა და არა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხებისა, რადგან სამოც ხალხს ამ წიგნების ხუთი პროცენტი აქვს დათმობილი, *95* პროცენტი კი რუს ხალხზე მოდის. ქართველი ხალხი ვერ შეურიგდება ამ ფაქტს, რომ ქართველ ახალ თაობას თავის წინაპართა ისტორიის შესწავლის უფლება წაერთვას.

პარტიისა და მთავრობის ზედაფენაში,–განაგრძო ნ. სამხარაძემ,–თავი იჩინა ველიკორუსულმა დიდმპყრობელურმა შოვინიზმმა. ველიკორუსთა ეს მმართველი ფენა ცდილობს საბჭოთა კავშირში შემავალ მცირე ერებს წაართვას საკუთარი თვითშეგნება და მოახდინოს მათი ასიმილაცია. ჩვენი ეროვნული სხეული მრავალმხრივ არის დაიარებულ-დაწყლულებული. ვისაც გაგება და გული შერჩენია, მთელი სიმწვავით განიცდის ამ მდგომარეობას. იარას მკურნალობა სჭირდება, მაგრამ ვაი ჩვენი ბრალი: ტკივილების გამომეღავნება და მკურნალობა აკრძალული გვაქვს"-ო.

25 წლის წინათ მართლაც დიდი გამბედაობა და სულიერი სიმტკიცე სჭირდებოდა ასეთი სიტყვით საჯაროდ გამოსვლას, სიტყვისა, რომლის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი მოვიყვანე. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო მის წინააღმდეგ რეპრესიების ზომების მიღება და მართლაც, იმავე წლის *16* ოქტომბერს, კაგებემ ის დააპატიმრა, ხოლო *1959* წლის იანვარში მას მიუსაჯეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება, საიდანაც იმავე წლის *9* სექტემბერს გაანთავისუფლეს. ამის შემდეგ, ნ. სამხარაძეს ათი წლის განმავლობაში არავითარ სამსახურს არ აძლევდნენ, რის გამოც მისი ოჯახი უდიდეს მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა.

1969 წელს ნ. სამხარაძემ ვრცელი დეპეშა გაუგზავნა ლ. ბრეჟნევს, სადაც იგი უარს აცხადებდა საბჭოთა მოქალაქეობაზე და საზღვარგარეთ ემიგრაციის უფლებას მოითხოვდა. ამ დეპეშამ ის შედეგი გამოიღო, რომ იმავე წლის აპრილში იგი დანიშნეს უბნის ექიმად. აღსანიშნავია, რომ ნ. სამხარაძეს სამედიცინო განათლებაც აქვს მიღებული.

მაგრამ, მისი დევნა ამით არ დასრულებულა. *1974* წელს ხელისუფლებამ მას სამხედრო პენსია მოუხსნა, რომელსაც იგი *25* წლის მანძილზე ღებულობდა. მას საკმაო პედაგოგიური სტაჟიც აქვს მაგრამ არც სამოქალაქო პენსია დაუნიშნეს, რითაც მისი ოჯახი უნუგეშო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამის გამო, ნ. სამხარაძემ კვლავ საპროტესტო დეპეშით მიმართა ლ. ბრეჟნევს, *1976* წ. რისთვისაც, იმავე წლის *22* ივნისს, კაგებეს ორმა თანამშრომელმა თავის ბინასთან დააკავა იგი. სახ. უშიშროების კომიტეტში რვა საათი გრძელდებოდა მისი დაკითხვა.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენამდე, რუსული თვითგამოცემის გზით, მოაღწია ნიკოლოზ სამხარაძის შვილის–**თამაზ სამხარაძის „განცხადებამ პრესისათვის"**, რომელიც დათარიღებულია *1982* წლის *30* მაისით. ამ განცხადებიდან ირკვევა, რომ *1980* წლის *23* სექტემბერს კაგებემ ნ. სამხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაძე დააპატიმრა ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და აგიტაციის ბრალდებით, შემდეგ კი ქალაქ ორიოლის ფსიქიატრიული საავადმყოფოში გამომამწყდია. თამაზის განცხადებით, მამამისი არავითარ აგიტაციას არ ეწეოდა; იგი მოითხოვდა მხოლოდ ქართველი ხალხის კონსტიტუციური უფლებების დაცვას, აკრიტიკებდა ცალკეულ ხელმძღვანელ პირებსა და მათ მოქმედებებს და იბრძოდა ქართულ სკოლებში საქ–ს ისტორიის სწავლების შემოღებისათვის. თამაზ სამხარაძის განცხადებაში შემდეგ წერია: „ამჟამად ჩემი **67** წლის მამა ხელმეორედ არის მოთავსებული ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სიმართლისათვის, პრინციპულობის გამოჩენისათვის. იგი ფსიქიკურად სრულიად ჯანსაღი ადამიანი, ქალაქ ორიოლის ფსიქიატრიულ ციხეში იტანჯება. მე მოვუწოდებ ყველა კეთილ ნების ადამიანს, რათა ხმა აღმაღლოს კაგებეს ორგანოთა მიერ განხორციელებული ამ აღმაშფოთებელი თვითნებობის წინააღმდეგ, რომ ჩვენი ოჯახი დაცული იქმნეს მათი დევნისგან და, რომ ჩემი მამა განთავისუფლებული იქნას ჯალათ-ფსიქიატრთა მკურნალობისაგან“-ო.

ნიკოლოზ სამხარაძის ამბავი ნათლად ასახავს იმას, თუ როგორ დევნა-შევიწროებას და ტანჯვა-წამებას განიცდის ადამიანი საბჭოეთში მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ გამოთქვამს თავის აზრს და მოითხოვს ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების დაცვას. მის მიმართ გამოყენებული ზომები აშკარად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხელისუფლება უკვე დიდი ხანია, რაც ფსიქიატრიას იყენებს თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ და მით უხეშად არღვევს მის მიერვე ხელმოწერილ ჰელსინკის შეთანხმების დასკვნით აქტს და სხვა საერთაშორისო ვალდებულებებს. ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს მსოფლიო საზოგადოების გულისწყრომა და აღშფოთება.

ზურაბ ნარსია

*** *** ***

ბ ო რ ი ს კ ა კ უ ბ ა ვ ა ს მ ი მ ა რ თ ვ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს ა დ მ ი

ამ წლის დასაწყისში რედაქციამდე მოაღწია რუსულ ენაზე შედგენილმა ორმა თვითგამოცემის დოკუმენტმა. პირველია ბორის კაკუბავას მიმართვა საბჭოთა საქართველოს მცხოვრებლებისადმი, სამეცნიერო და საზოგადორებრივ ორგანიზაციებისა და მასწავლებელ-სტუდენტებისადმი. მეორე დოკუმენტია ზვიად გამსახურდიას საჩივარი იური ანდროპოვისა და აზერბაიჯანის კომპარტიის პირველი მდივნის აღიევისადმი საინგილოს ქართველების შევიწროების შესახებ.

ბორის კაკუბავა ერთ-ერთი მთავარმომწყობთაგანი იყო აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მასიური საპროტესტო მანიფესტაციებისა და მიტინგებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთში **1978** წლის **3** სექტემბერს და, რომელიც გამოწვეული იყო იქ მცხოვრები ქართველების შევიწროებისა და დისკრიმინაციის მიზეზით. ამ მანიფესტაციების შემდეგ, ბ. კაკუბავა, მსგავსად მანიფესტაციების მეორე ორგანიზატორ **ა. მარკოზიასი**, დაატპატიმრეს სახელმწიფო ქონების გაფლანგვის ბრალდებით, გაასამართლეს და მიუსაჯეს **14** წლის ბანაკი ციმბირში. კაკუბავა თავის წერილში ამტკიცებს, რომ მას არც ერთი მანეთი არ გაუფლანგავს, რომ მას არც კი შეეძლო გაეფლანგა, რადგანაც მას არ ჰქონდა კავშირი ფულთან და, რომ ის მსხვერპლია კრემლის ველიკორუსული შოვინიზმის, რომელიც მას სდევნის როგორც ქართველ პატრიოტს. მოგვყავს მთავარი ადგილები კაკუბავას მიმართვიდან:

„ბორის ჯოტოს ძე კაკუბავა, მცხოვრები ქ. გაგრის ზონაში, უმაღლესი განათლებით, კომპარტიის წევრი **1967** წლიდან, ცოლიანი, სამი პატარა ბავშვის მარჩენელი,–მოგმართავთ, რათა თქვენ იცოდეთ სიმართლე ჩვენი მდგომარეობისა, ქართველი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა აფხაზეთში.

აფხაზეთის ს.ს. ავტონომიური რესპუბლიკა განუშორებელი ნაწილია საქართველოსი. აფხაზები, ჩამოსახლებული ქართულ მიწაზე აფხაზეთად წოდებულზე, შეადგენენ სულ **70.000** სულს. დასაბამიდან დღემდე აფხაზეთი და აფხაზები იყენენ საქართველოს შემადგენლობაში, არასოდეს არ ჰქონებით დამოუკიდებლობის სტატუსი. ოქტომბრის რევოლუციამდე და ომის წინ ძირითადათ აფხაზები მოსახლეობდნენ მთის სოფლებში.

ქართულ საზოგადოებისათვის ცნობილია აფხაზების გამოსვლები **1956, 1968** და **1978** წლებში. ცნობილია, რომ აფხაზებს არ ჰქონდათ საკუთარი ანბანი და ის შედგენილი იქმნა ქართული ასოებით. **1956** წელს აფხაზებმა ქართული ანბანი შეცვალეს რუსულით. **1968** წელს, ბუნტისა და პროვოკაციული მოთხოვნილებების გამო ზოგიერთი ხელმძღვანელი დასჯილი იყო პარტიულად და ადმინისტრატიულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1978 წელში ზოგიერთმა გარკვეული თანამდებობის აფხაზი ეროვნების პირებმა დაწერეს კოლექტიური წერილი და გაუგზავნეს საბჭოთა კავშირის მთავრობას, სადაც ციხისმწამებლურად შეურაცხყოფდნენ ქართველ ხალხს, საქართველოს მთავრობას. უწოდებდნენ მათ ბერიას ხალხს და ბრალს სდებდნენ აფხაზი ერის გაჟლეფაში. წერილს ხელს აწერდა ოთხმოცამდე პასუხისმგებელი სახელმწიფო და პარტიული მუშაკი.

ამ წერილის შედგენას და გაგზავნას წინ უსწრებდა ქართული წარწერების მოსპობა მთელს აფხაზეთში. აღნიშნულ წერილის ტექსტს აშკარად კითხულობდნენ ყველა კრებებზე და თავყრილობებზე, დასაფლავებებზე და ქარწინებებზე. ხალხს მოუწოდებდნენ მასიური გამოსვლებისათვის. მრავალათასიანი კრებები და ყრილობები იმართებოდნენ აფხაზეთის ყველა ქალაქებსა და სოფლებში.

აფხაზეთის კომპარტიის სამხარეო კომიტეტმა, აფხაზეთის პარტიული აქტივის კრებაზე, აშკარა ციხისმწამებლურად შეაფასა წერილის ხასიათი, პროვოკაციული უწოდა წერილის ტექსტს და მის ავტორებს პროვოკატორები. აფხაზეთის კომპარტიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით წერილის ავტორები გაირიცხნენ პარტიიდან და განთავისუფლდნენ სამსახურიდან. საქართველოს სსრ მთავრობის წევრები იმ დროს აფხაზეთში იმყოფებოდნენ და უშუალოდ ღებულობდნენ მონაწილეობას კრებებში, ატარებდნენ თათბირებს პარტიულ ორგანიზაციებში. ისინი დამსწრენი არიან ზოგიერთ აფხაზის ციხისწამების და პროვოკაციის.

რას მოითხოვდნენ მაინც აფხაზები? რით იყნენ უკმაყოფილო? საქართველოს მთავრობის წევრებს, მათი თანდასწრებით, მოურიდებლად მიმართავდნენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით, ხულიგნური გამოხდომებით, ყირიღით და სტვენით. საქართველოს ბრალს სდებდნენ აფხაზეთის ოკუპაციაში, აფხაზი ერის გაჟლეფაში. მოითხოვდნენ: აფხაზეთის კ.პ.ც.კ. ბიუროს დადგენილების გაუქმებას, ქართველების განთავისუფლებას ყოველგვარი პარტიული და სახელმწიფოებრივი თანამდებობებიდან, ქართული ენის ხმარებიდან გამოტანას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამოყოფას საქ. სსრ.–ს შემადგენლობიდან და მის შეერთებას რუსეთის ს.ფ.ს.რ.–სთან, გახსნას: აფხაზური უნივერსიტეტისას და ტელევიზიისას და ბოლოს, ყველა ქართველის გასახლებას აფხაზეთიდან, დამტკიცებას საკუთარი, აფხაზური კონსტიტუციისას, საკუთარი დროშით და აფხაზური სახელმწიფო ენით, აფხაზეთის ტოპონიმიკის სრულ შეცვლას: ქართული სახელების შეცვლას აფხაზურით და სხვა.

საქ.–ს მთავრობა დათმობაზე წავიდა პროვოკატორებთან. საქ. კ.პ.ც.კ. ბიუროს გადაწყვეტილებით პროვოკაციული წერილის ავტორები აღდგენილი იქმნენ პარტიაში და სამუშაოზე. ეს კი ნიშნავს, რომ წერილი არ იყო პროვოკაციული, რომ ჩვენ, ქართველებმა „ბერიაელებმა“ დავიპყრით აფხაზეთი და ვჟლეფთ აფხაზებს. სწორედ ასე გთგო აფხაზეთის მოსახლეობამ საქ. კ.პ. ც.კ. ბიუროს გადაწყვეტილება. დაუყოვნებლივ იქნა განთავისუფლებული თანამდებობიდან ქ. გაგრის საქალაქო კომიტეტის მდივანი კვანტალიანი, გუდაუთის პარტრაიკომის მდივანი გოგოშიძე, გალის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი გულუა, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე–საყარელიძე და ბევრი სხვა. აფხაზეთის კ.პ. საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ხინთბა განთავისუფლებული იქნა სამუშაოდან ბუნტის წევრების მოთხოვნით, მათი წერილის პროვოკაციულად შეფასებისათვის და მათი პარტიიდან და სამსახურიდან გაძევების გამო.

ეს ნიშნავს საქართველოს მთავრობისაგან აფხაზების მოთხოვნილებების კანონიერების დამოწმებას....“

„...მიუხედავად ყოველგვარი დათმობებისა, საქ.–ს მთავრობის მხრით, გრძელდებოდა აფხაზების უწესრიგობა, მათ მიერ ქართველი მოსახლეობის დაშინება, რათა ვეიძულებიეთ დაგვეტოვებია აფხაზეთი. იყო შემთხვევები ქართველების ცემის, მკვლელობის. დაიწყეს განზრახული გეგმის,– ქართული ენის ხმარებიდან გამოტანა,–განხორციელება. ბზიბის ქართულ სკოლაში დაწვეს ქართული წიგნები, დაამსხვრიეს ქართული აბრები, კედლებზე წააწერეს: ძირს ქართული ენა! დაიწყეს აფხაზეთის ტოპონიმიკის შეცვლა.

ჩვენ არ გვესმოდა მიზეზები ასეთი უწესოების და თუ რატომ საქართველოს მთავრობა მიდიოდა ასეთ დათმობებზე. სრულიად შესაძლებელია, რომ „ზემოდან“ მიღებული ბრძანების გამო საქ.-ს მთავრობა არ ეწინააღმდეგებოდა აფხაზეთის ჩამოშორებას საქართველოდან და რუსეთთან შეერთებას?! აფხაზეთის ქართველ მოსახლეობას შეშფოთება ედებოდა. ყოველივე ამას მე აღვწერ ძალიან მოკლედ. არაა საშუალება ყველაფრის დაწვრილებით აღწერვისა.

ქ. გაგრის ზონის რამდენიმე ამხანაგმა, მათ შორის მეც, გადაწყვიტა აფხაზეთის ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის მოწვევა გაგრაში *1978* წლის *3* სექტემბრისათვის, მოწვევა აფხაზეთის ავტონ. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის და მათთვის მოთხოვნილების წარდგენა, რათა ბოლო მოეღოს უწესრიგობასა და უმსგავსოებას, აღადგინონ ძველი ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა აფხაზ და ქართველ ხალხს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს მიერ მიღებული იქნებოდა საწინააღმდეგო ზომები.

მაგრამ, *1* სექტემბერს გაგრაში ჩამოვიდა საქ.-ს მთავრობის ყველა წევრი და კომპარტიის ბიუროს ყველა წევრი. ეწყობოდა კრებები და თათბირები წარმოებებში და დაწესებულებებში; ჩატარდა პარტიული აქტივის კრება რაიონში. საქ. მთავრობა ახლა ჩვენ, ქართველებს გვთხოვდა არ შევკრებილიყავით *3* სექტემბერს კრებაზე. *2* სექტემბერს, გაგრის ქალაქის პარტკომის შენობაში გაიმართა პარტაქტივის კრება საქ. კ.პ.ც.კ. პირველი მდივნის თანდასწრებით. სხვების შორის მეც გამოვედი სიტყვაში. ჩემი სიტყვა იყო მოწოდება საუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ ქართველებსა და აფხაზებს შორის, შეწყვეტა გაუმართლებელი დათმობებებისა ზოგიერთ აფხაზებისადმი, აკრძალულიყო ტოპონიმიკების შეცვლა და დაუყოვნებლივ მოეცილებიათ აჯანყების მოთავე აფხაზები. მივმართე რა პირადათ საქ. კ.პ. პირველ მდივანს მე ვთქვი: თქვენთვის ხომ ცნობილია გვარები აფხაზების მოძრაობისა, რატომ უთმობთ მათ, რატომ არ ახდენთ მათ იზოლაციას? მოაშორეთ ისინი დაუყოვნებლივ და მაშინ თქვენ აღარ მოგიწევთ იაროთ სოფლებში და ეხვეწოთ ხალხს არ მოვიდონ შეკრებაზე. ისინი სულ ერთი ათეული არიან და ყველას თქვენ იცნობთ. დაუპატიმრეთ ისინი! და მაშინ აღარ იქნება აღარავითარი ბუნტი და აღარც კრებები. ჩვენ ნებას არავის მივცემთ ჩვენი მიწები ჩამოაცილონ საქართველოს და შეუერთონ რუსეთს!.

მე არ შემეძლო ჩრდილში დგომა ზოგიერთებსავით, შურისძიების შიშით. მე ვიცოდი, რომ მართალს ვლაპარაკობდი და დაე, ეშინოდეთ მათ, ვინც პირადი კეთილდღეობის მიზნით, მაღალი თანამდებობის და წოდების გულისთვის, მოქმედებს საკუთარი სამშობლოს საზიანოდ.

ამ დღიდან „შავ სიაში“ ვიყავი შეტანილი აფხაზეთის ხელმძღვანელობის მიერ. მე ვმუშაობდი სოხუმის ხორცის კომბინატში არა მატერიალური პასუხისმგებლობის თანამდებობაზე ვეტერინარული ტექნიკის. მე ხელი არ მიმიწვდებოდა მატერიალურ ღირებულებებზე. არ ვღებულობდი და არ ვცემდი არავითარ პროდუქციას. დაიწყო დევნა ჩემს წინააღმდეგ და ხორცკომბინატის დირექტორის ბრძანებით გადამაყენეს სამუშაოდან *1978* წ. ნოემბერში. მხოლოდ ეს ბრძანება უკანონო იყო და ჩემი საჩივრის შემდეგ დეკემბერში აღდგენილი ვიყავი ჩემს სამუშაოზე. *1979* წ. *22* იანვარს სოხუმის ქალაქის პროკურატურამ დამაპატიმრა ყალბ ბრალდებით:„სამსახურებლივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.“ უკანონოდ მამყოფეს ციხეში ცხრა თვისა და სამი დღის განმავლობაში. რის შემდეგაც გენერალური პროკურორის მიერ ვიყავი პატიმრობიდან განთავისუფლებული. ამავე საქმეზე ჩემი ხელახლად დაპატიმრება შეეძლო მხოლოდ სსრკ უმაღლეს საბჭოს, მაგრამ ხუთი თვის გავლის შემდეგ მაპატიმრებენ აფხაზეთის პროკურორის ვ. ვ. ვარდიაის ბრძანებით. ჩემს წინააღმდეგ ქ. სოხუმის პროკურატურაში შეთითხნეს ყოვლად უსაფუძვლო ბრალდება. სოხუმის ხორცის კომბინატი აიძულეს გადაერიცხა *84 000* მანეთი ტიხორეცკის „ოტკორმსოვეხოზ“-ისათვის, პროდუქციის მიუღებლობის გამო, რასაც ადგილი ჰქონდა ჩემი დაპატიმრებიდან ერთი თვის შემდეგ, და ჩემს წინააღმდეგ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. ეს თანხა, როგორც დანაკლისი დააწერეს სასაკლაოს ცეხის უფროს ვ. ტ. **კვიცინიას** და მიმდებს რ.კ. **ბერულავას** (ორივე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი). მე ბრალი დამდეს იმაში, რომ ვითომც „*1977* წლის აპრილიდან *1978* წლის მაისამდე შეეკმენი ბოროტმომქმედთა ჯგუფი კვიცინიასთან და ბერულავასთან ერთად და მივითვისეთ *281 000* მანეთი!!! მათ შორის, *4.576* მანეთი *1977* წლის *7* მაისისათვის“. სინამდვილეში *1977* წლის *4* თებერვლიდან *1978* წლის *1* თებერვლამდე არ ვმუშაობდი სოხუმის ხორცის კომბინატში. მატერიალურად პასუხისმგებელი პირები ბერულავა და კვიცინია თავიანთ ჩვენებებში, როგორც გამოძიების, ისე სასამართლოს დროს, უარყეს ჩემი მონაწილეობა. არც ერთ მოწმეს სასამართლოში არ დაუდასტურებია ჩემი მონაწილეობა რაიმე დანაშაულში. თანახმად სარევიზიო აქტისა და სასამართლოს სპეციალტრო ექსპერტის დასკვნისა ჩემზე არ ირიცხება არც ერთი მანეთი დანაკლისი და არც არავითარი დარღვევა სამსახურში. ყველაფერი ეს გამოძიების მასალებშია.

უმაღლეს ინსტანციებში მიწერილ საჩივრებში და თხოვნებში არა ერთგზის დაწვრილებით აღვწერე ჭეშმარიტი მიზეზი ჩემი დაპატიმრებისა და ყალბ ბრალდების შედგენისა. ყველა ჩემი თხოვნები დარჩნენ უპასუხოდ. ამ საქმეში ჩემსა და ბერულავას მიმართ უხეშად არღვევენ საბჭ-

ოთა კანონებს და მართლმსაჯულებას. ჩემს მიმართ წამოყენებული ბრალდება ყალბია და არ არსებობს არავითარი საბუთი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა...“

ამის შემდეგ კაკუბავას წერილში მოთხრობილია, რომ მიუხედავად ბრალდების სრული უსაფუძ-ძველობისა, აფხაზეთის უმაღლესმა სასამართლომ, *1980* წლის *11* სექტემბერს, მას მიუსაჯა *14* წლით თავისუფლების აღკვეთა, ბერულავას *13* წლით, ხოლო კვიცინიას, რომელიც სასაკლაოს ცეხის უფროსი იყო და, მაშასადამე, მატერიალური პასუხისმგებელი,–მიესაჯა მხოლოდ სამი წლით პატიმრობა. კვიცინია ასევე დაპატიმრებული არ ყოფილა გამოძიების განმავლობაში. ასეთ მდგომარეობას კაკუბავა ხსნის იმით, რომ კვიცარია აფხაზია, ხოლო ის და ბერულავა ქართველებია.

კაკუბავამ გაასაჩივრა საქართველოს უმაღლეს სასამართლოში, რომელმაც თავიდან სასჯელი არ დაამტკიცა და დამატებით გამოძიებისათვის საქმე გადასცა საქართველოს პროკურატურას, რაც ნიშნავდა იმას, რომ ნამდვილი დამნაშავეები, რომლებმაც ეს ყალბი საქმე შეთითხნეს, უნდა გამომჟღავნებულიყვნენ, ხოლო კაკუბავა და ბერულავა უნდა დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებიათ პატიმრობიდან, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ისინი პატიმრობაში დასტოვეს და აფხაზეთის უმაღლეს სასამართლოს განაჩენის ერთი წლის თავზე, ეს განაჩენი ძალაში დატოვეს.

ბ. კაკუბავა ფიქრობს, რომ ამ ხნის განმავლობაში საქართველოს უმაღლეს სასამართლოს წევრებზე ზეგავლენა მოახდინეს მაღალი თანამდებობის პირებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან მის დაღუპვაში. ესენი არიან ისინი, ვინც დათმობებზე მიდიოდნენ სეპარატისტ აფხაზებთან, ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდო, ამბობს კაკუბავა.

მსგავსი ყალბი ბრალდებით იყო პასუხისგებაში მიცემული, აფხაზეთის ქართველთა მეორე აქტივისტი–**არკადი მარკოზია.** როგორც ცნობილია, საბჭოთა საქართველოს მწერალთა ყრილობის დროს, თბილისში გამართულმა სპროტესტო მანიფესტაციამ აიძულა ედოვარდ შევარდნაძე, რომ მარკოზია სამ დღეში გაენთავისუფლებია მაშინ, როცა ისიც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ პასუხისგებაში იყო მიცემული დიდძალი თანხის გაფლანგვის ბრალდებით.

ბ. კაკუბავასაც, რომელმაც ყველა ოფიციალური გზა მოშინჯა სიმართლის დასადგენად, მაგრამ ამაოდ, ერთადერთი იმედი დარჩენია, და ესაა ქართული საზოგადოება. ის იმედოვნებს, რომ ქართული საზოგადოება მასაც ისევე დაიცავს, როგორც დაიცვა ა, მარკოზია. ბ. კაკუბავა ასე ამთავრებს თავის მიმართვას: „ამ მიმართვის მიზანია: აღწერა სიმართლის, საქართველოს საზოგადოების დახმარებით ზემოქმედება საქ. ს.ს.რ. ხელმძღვანელებზე, რათა დადგინდეს სიმართლე ჩემსა და ბერულავას შესახებ, მიეცეს მითითება კანონის დამცველ რესპუბლიკის ორგანოებს ობიექტიურად და მართებულად გაარჩიონ ეს საქმე, შეწყდეს ჩემი დევნა და მომეცეს საშუალება გამოვადგე ჩემ სამშობლო საქართველოს, ჩემს ქართველ ხალხს, აღვზარდო ჩემი შვილები საზოგადოების ღირსეულ შვილებად.“

ხელს აწერს: **ბ. კაკუბავა**
1981 წლის *27* ოქტომბერი.

*** *** ***

ზვიად გამსახურდიას მიმართვა იური ანდროპოვისადმი

„უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც საინგილოს (**კახის, ბელოკანსკის** და **ზაქათალას** რაიონები აზერბაიჯანის ს.ს.რ.–ში) ქართველი მოსახლეობა უშედეგოდ მიმართავს ყველა პარტიულ და სახელმწიფო ინსტანციაში. ამ მიმართვებში ისინი აზერბაიჯანის ხელისუფალთ უჩივიან შეუწყნარებელ დევნა შევიწროებას. ის, რაც საინგილოში ხდება შეიძლება ეწოდოს ქართველების რასიული დისკრიმინაცია, აზერბაიჯანის ხელისუფლებისაგან ოფიციალურად ნებადართული.

საკმარისია აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის ხელისუფალნი სხვადასხვა მომიზეზებით უკანონოთ ანგრევენ ქართველების სახლებს, მათ უჩეხავენ ვენახებს და ხილის ბაღებს, ყოველ კილოგრამ პროდუქტზე მათგან თხოულობენ „მოწმობებს“; საინგილოში ხელოვნურად ასახლებენ არაქართველებს, ებრძვიან ქართულ სკოლებს, ანგრევენ მათ და მათ ადგილზე აშენებენ „ინტერნაციონალურ“, ე.ი. აზერბაიჯანულ სკოლებს, ქართული სექტორით, საინგილოს ქართველებს ხელს უშლიან სამშობლო-საქართველოსთან და ქართველ ხალხთან ურთიერთობაში, ახშობენ ქართულ ტელე-გადაცემებს, თხრიან, ანგრევენ, ანდა გადაკეთებას უხდენენ საშუალო საუკ. უნიკალურ ქართ. არქიტექტ. ძეგლებს, სდევნიან მორწმუნე ქრისტიანებს, მათ ნებას არ აძლევენ ეკლესიების გახსნისას და არც მათი დღესასწაულების ზეიმისას, და ეს–მიუხედავად მთელი მოსახლეობის მოთხოვნების და პროტესტებისა.

ძნელია საინგილოს მოსახლეობის ელემენტარული უფლებების ფეხქვეშ გაქელვის ფაქტების სრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიის ჩამოთვლა, მათი აბუჩად აგდების და დამცირებისა, ამიტომ აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთებს.

საინგილოში არსებობენ სკოლები ქართული სექციებით, რომლებიც საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებიან. მასწავლებლებს არ გააჩნიათ არავითარი მეთოდოლოგიური დახმარება, მოწაფეებს კი—სახელმძღვანელოები და სხვა სასკოლო ნივთები. საქართველოს ინტელიგენცია ცდილობს ისინი მოამარაგოს სახელმძღვანელოებით, მაგრამ აზერბაიჯანის ხელისუფლება ამის საშუალებას არ აძლევს. მაგალითად, *1981* წლის *13* ოქტომბერს, სოფ. იტიტალაში (ბელოკანის რაიონი, აზერბაიჯანში) **რ. კურკუნაევის (ზურაბაშვილი)** სახლში შეეარდა მილიციონერთა ჯგუფი კაპიტან **მეხტიევის** მეთაურობით და ჩამოართვეს *800* ცალი ადგილობრივი სკოლის სახელმძღვანელო, რომელიც მან თბილისიდან ჩამოიტანა, საქ.—ს განათლების სამინისტროს დავალებით. მას ამისათვის ჰქონდა სათანადო ფაქტურები და ნებართვა, რომლებიც პასპორტთან ერთად ჩამოართვეს; თვით კურკუნაევი კი ორი დღე-ღამის განმავლობაში დაპატიმრებული ჰყავდათ უკანონოთ. დაკითხვების დროს მას ეუბნებოდნენ, რომ ინგილოელები ქართველები არ არიან, საინგილო არასოდეს საქართველოსი არ ყოფილა და, რომ მათ არ სჭირდებათ ქართული წიგნებიო და სხვა.

ამის შესახებ,—ამბობს ზ. გამსახურდია,— მე უკვე დეპეშა გავუგზავნე **ლ.ი. ბრეჟნევს**, მაგრამ უშედეგოდ.

„*1982* წლის *16* ოქტომბერს, აგრძელებს ზ. გამსახურდია, საინგილოს რაიონებს ესტუმრა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ექსკურსია, ლექტორ **გ. კუტალიას** ხელმძღვანელობით. ექსკურსიის მიზანი იყო ისტორიული ძეგლების დათვალიერება და ეთნოგრაფიული ყოფის გაცნობა. მათ თან ჰქონდათ საბავშვო ლიტერატურა თბილისში გამოცემული *1955* წელს, *6* ჭადრაკის კომპლექტი, ბურთები და სასწავლო ქარტები. სოფ. იტიტალაში ისინი ესტუმრენ სკოლას, მაგრამ სკოლის დირექტორმა **მუსტაფაევმა** ისინი შიგნით არ შეუშვა და მოსწავლეები გარეკა, რომ არ მიეცა ნება მიეღოთ სახელმძღვანელოები. მან ასევე ნება არ დართო ბავშვებს სურათი გადაეღოთ ექსკურსანტებთან. მიუხედავათ ამისა წიგნები და სხვა საჩუქრები დარიგდა ბავშვებზე. ამ დროს გამოჩნდა უბნის პოლიციის ინსპექტორი, რომელიც უხეში ყვირილით გამოეკიდა ბავშვებს, წაართვა წიგნები და საჩუქრები, ხოლო თბილისელებს მუქარით უბრძანა სოფლის დატოვება. აქედან ექსკურსია გაემართა ბელოკანსა და ზაქათალაში. საღამოს ისინი შეჩერდნენ სოფ. **ალიაბადში**(ამ სოფელში *1971* წელს ააფეთქეს მეთორმეტე საუკ. ქართ. „ღვთისმშობლის“ ტაძარი), სადაც წიგნები დაურიგეს მოწაფეებს და ღამე გაათენეს ამ სოფ. მცხოვრებ **ბ. კერიმოვთან (ნაცვლიშვილი)**. ღამით, ავტომანქანებით მივიდნენ მილიციონერები, ნებართვის გარეშე შეეცვიდნენ ოჯახში, მასპინძელს ბრალი დასდეს სპეკულიაციაში, ცადეს სახლის და ავტობუსის გაჩხრეკა, შანტაჟს მიმართავდნენ მასპინძლის მიმართ, დილამდე ყარაულობდნენ სახლს, ხოლო დილით თბილისელებს უბრძანეს სოფლის დატოვება, ერთი მასპინძელთაგანი(**ისაევი**) კი მძევლად წაიყვანეს.

17 ოქტომბერს ექსკურსანტებმა დატოვეს ალიაბადი და გაემგზავრენ კახში. იქ მათ არავითარი ინციდენტი არ მოსვლიათ, მხოლოდ უკან დაბრუნების დროს, კახის და ზაქათალას რაიონების საზღვარზე, ისინი დააკავა ავტოინსპექციამ. მილიციის მუშაკებმა საბუთების ჩვენების გარეშე ეცნენ სტუდენტებს და ცდილობდნენ მათ წაყვანას მილიციაში. ისინი უხეშად ეპყრობოდნენ ექსკურსანტ ქალიშვილებს, აბუჩად იგდებდენ მათ. სტუდენტები მილიციონერებს არ დაემორჩილენ, მათ მოსთხოვეს პასუხისმგებელი პირი, რომელიც მათ განმარტებას მისცემდა ასეთი მოქცევისთვის.

რამოდენიმე ხნის შემდეგ შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა ერთი კაცი, სამოქალაქო ფორმაში, რომელსაც მოჰყვა რაზმდენიმე მანქანა სავსე მილიციონერებით და სამოქალაქო ფორმიანი ხალხით. ამ კაცმა განაცხადა, რომ ის არის კახის რაიონის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განყოფილების უფროსი. მან დატუქსა ექსკურსანტი სტუდენტები და დაემუქრა იმისათვის, რომ მათ წიგნები დაურიგეს ბავშვებს(!)...სტუდენტ ექსკურსანტებს პოლიციელებმა და ს.უ.კ.—ს თანამშრომლებმა დაუმტვრიეს მაგნიტოფონი, უწესოდ და უპატივცემოდ გაჩხრიკეს ქალიშვილები და აგრეთვე წინამძღოლი, ლექტორი გ. კუტელია. ბოლოს და ბოლოს ორგანოების თანამშრომლები იძულებული იყვნენ თბილისელ ექსკურსანტებს განშორებოდნენ, რადგანაც გზაზე მოზრაობა შეჩერდა და მოთმინებიდან გამოსულმა მძღოლებმა ასტეხეს საყვირების ცემა.

თბილისში დაბრუნებულმა ექსკურსანტებმა გაიგეს, რომ საინგილოს ქართველ ბავშვებს და მათ მშობლებს ჩამოართვეს ყველა წიგნები და საჩუქრები, ხოლო მასპინძლები: მ. ისაევი და ა. ტინაევი ორი დღე უკანონოდ ამყოფეს მილიციაში და გაანთავისუფლეს მხოლოდ სოფ. ალია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადის მასწავლებელთა დელეგაციის თხოვნით, რისთვისაც მათ დიდათ გაურისხდა ზაქათალის პარტრაიკომის პირველი მდივანი და დაემუქრა სკოლის ქართული სექციის დახურვით."

ასეთი უკანონო აქტების ჩამოთვლის შემდეგ, ზვიად გამსახურდია, თხოვს ს.ს.რ.კ.კ.ს.ს.ჯ. გენერალურ მდივანს-**იური ანდროპოვს:**

„აუცილებლად უნდა შეიქმნას სსრკ. კომიტეტის კომპეტენტური კომისია ზემოდ ჩამოთვლილ ფაქტების გამოსაძიებლად, და თუ დამტკიცდება, რომ ამ ბანდიტურ თავდასხმების მონაწილენი მართლაც არიან სახ. უშიშროების კომიტეტის ორგანოთა თანამშრომლები, მაშინ ისინი დაისაჯონ სამაგალითოდ. თუ ახლო მომავალში არ იქნა მიღებული სათანადო ზომები ამ აღმაშფოთებელ უკანონობათა ამოსაძირკვად, მაშინ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი ეს არის ცენტრიდან მომდინარე შეგნებული ანტიქართული პოლიტიკა და არა მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფალთა თვითნებობა."

ხელის მოწერა: ზ. გამსახურდია

1982 წლის *12* ნოემბერი, ქ. თბილისი.

****

ნ ე კ რ ო ლ ო გ ე ბ ი ს გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა:

* * *

80 წლის ასაკში **ვიტალი (ტალიკო) უგრეხელიძე-უგორსკი** ქ. ლონდონში, მ.წ. *8* იანვარს და მისი ნეშტის ფერფლად ქცევას ადგილი ჰქონდა *17* იანვარს.

* * *

მიხეილ (მიშა) ხუნდაძე, პარიზში, მ.წ. *31* იანვარს და *3* თებერვალს დაიკრძალა ლევილში.

* * *

ქალბატონი **ქეთევან(გოგოშა) გეგეჭკორი-ბელისა,** პარიზში, მ.წ. *11* თებერვალს, დაიკრძალა ლევილში.

* * *

ალექსანდრე (საშურა) კარგარეთელი, პარიზში, მ.წ. *17* თებერვალს და *22*-ში დაიკრძალა ლევილში.

* * *

სტანისლა საკაშვილი, საფრანგეთში, მ.წ. *21* თებერვალს და დაიკრძალა ქ. ბურჟში.

* * *

ქალბატონი **ანი შალვას ასული შავლაყაძე,** ბანიოში(პარიზთან) და დაიკრძალა ლევილში **მ.წ.** *14* მარტს.

* * *

ბორის მიმინოშვილი, საფრანგეთში, მ.წ. *8* მარტს და *11*-ში დაიკრძალა ლევილში.

* * *

95 წლის ასაკში ქალბატონი **ელენე** (ნელი) **მდივანი,** პარიზში, მ.წ. *31* მარტს და *6* აპრილს დაიკრძალა ლევილში.

* * *

იასონ მალვილი (მამულაიშვილი), პარიზში, მ.წ. *14* აპრილს და *20*-ში დაიკრძალა ლევილში.

* * *

ანტონ (ანტუან) მელია, ქ. შარლორუაში(ბელგია), მ.წ. *4* მაისს და *9*-ში ადგილობრივ დაიკრძალა.

* * *

და ღრმად დამწუხრებულ სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგეშო ჰირისუფალთ.

*** *** ***

მ ი შ ა ხ უ ნ დ ა ძ ი ს გ ა მ ო ს ა მ შ ვ ი დ ო ბ ე ბ ე ლ ი

სიტყვა წარმოთქმული დაკრძალვის დროს

ქალბატონებო და ბატონებო! საფრანგეთში პოლიტიკურად შემოხიზნულ ქართველებს ბედი აღარ გვწყალობს, რგოლი სიცოცხლისა ჩვენს გარშემო უფრო და უფრო ვიწროდება. ეს სიცალიერე ლოდივით გულზე გვაწვება, სული გვეხუთება... ამ ერთ კვირეში ორი საუცხოო ახალგაზრდა დავასაფლავეთ: ჟურნალისტი **დიკა კედია** და ექიმი **გოგი თოხაძე.** მოხუცებული მშობლები რომ ასაფლავებენ თავიანთ დამსაფლავებელ შვილებს, სად არის სამართალი!?

დღეს კი, სამუდამოთ ვშორდებით ჩვენს ძვირფას და სასახელო მამულიშვილს–**მიშას.**

მე პირადათ მიშა ხუნდაძე პირველად გავიცანი *1923* წელს, ქ. ჰამბურგში, სადაც იმ დროს

მიმდინარეობდა მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესი. ბერლინიდან წავედით დასასწრებლად: ელჩი **ლადო ახმეტელი, ვლასა მგელაძე, შალვა**(ჩემი მეუღლე) და მე.

ამინდი იყო საუცხოო. აუარებელ ხალხს თავი მოეყარა ცის ქვეშ. შუაცენტრში ტრიბუნაზე ადის ერთი მშვენიერი მაღალი ახალგაზრდა, რომელმაც საუცხოო გერმანულ ენაზე საქართველოს შესახებ იღაპარაკა ნახევარი საათი და დიდი მოწონებით და ოვაციებით დაჯილდოვებული ტრიბუნიდან ჩამოსვლისას გადაეხვევა ჯერ შალვას და მერე მე. ეს ოქროპირი ორატორი გახლდათ მიშა ხუნდაძე. მიშას შემდეგ მაგიდაზე ადის ვლასა, რომლის მჭექარე ქართული სიტყვა შორს გაისმის. ვლასას სიტყვა კონგრესს გერმანულად მიშამ უთარგმნა. მიშა იშვიათად ფლობდა ენებს. ის თავისუფლად ლაპარაკობდა ჯელა დიდ ევროპულ ენაზე.

შალვა და მიშა დიდი მეგობრები იყვნენ. ოჯახები ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. საფრანგეთში ჩვენ დავსახლდით ქ. სენ-კლუში. უფრო გვიან, მიშა და პეგი—ქ. ვიროფლეში, სადაც ცხოვრობდნენ **ირაკლი წერეთელი**, მისი და **ელიკო**, ფრანგზე გათხოვილი. მიშა იყო დიდათ განათლებული და ღრმა კულტურის მფლობელი ადამიანი. კარგად უძღვებოდა ოჯახს და სამსახურში მიაღწია კარგ მდგომარეობას. ის იყო დიდი ქარხნის, სიტროენის პერსონელის უფროსი და, როცა მიშა პენსიაზე გავიდა, ქარხანამ ის თავის წარმომადგენლად დანიშნა მთელ ამერიკაში.

დროს უქონლობის გამო, მიშა ხშირად არ იყო ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ ის მუდამ ერთგული გუშაგი იყო საქართველოსი, მისთვის იბრძოდა მუდამ და მას ემსახურებოდა.

ჩვენი უაღრესი მადლობა და კეთილი ხსოვნა თან ჩაიტანე ღევილის სამარეში, ჩვენო ძვირფასო და სასახელო მამულიშვილო!

ლუბა აბდუშელი

*** *** ***

მშვიდობით გიორგი თოხაძეს



გიორგი თოხაძის პიროვნება რომ მოვიგონოთ, როგორ არ ვახსენოთ მამამისი, პოლკოვნიკი **ნიკოლოზ თოხაძე**, რომელიც განსახიერება იყო დახვეწილი იუმორისა და უაღრესი პირდაპირობის,— და ბაბუამისი, ექიმი **ვახტანგ ღამბაშიძე**, რომელიც მთელი ჩემი თაობისათვის იყო „კეთილი ექიმი“ და, რომლის მარტო გამოჩენაც კი იმედს გვაძლევდა. როგორც სამართლიანად თქვა **მამაილიამ** მის დაკრძალვისას: „გიორგის ჰყავდა თუ ვის უნდა მგვანებოდა.“ ვინც მას პირადად არ იცნობდა, შეუძლია წარმოდგენა ჰქონდეს მისი დიდი წინაპრების მიხედვით: მამაცი, პირდაპირი, გონებამახვილი და კეთილი; ექიმი ბაბუასავით, მაგრამ ძალიან ერთგული მამამისის ღეგიონის და იმ ქვეყნის, რომლის შვილებიც იყვნენ ერთიცა და მეორეც.

ექიმი,—ის იყო გატაცებით. მედიცინასა და მკურნალის ხელობას ის უყვნებდა ძალიან მაღალ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომთხოვნელ იდეას. თავიდან გიორგის ხიბლავდა კვლევითი მედიცინა, შემდეგ–სამხედრო საზღვაო ნაწილების მედიცინა საბოლოოდ კი არჩია ზოგადი მედიცინა და მუშაობდა სოფლის ექიმად.

გიორგი იყო ბედნიერი მეუღლე– ცოლად შეირთო ოფიცრის ქალიშვილი, როგორც თვით იყო დაჯ ხელობით ექთანი –ორი მალხაზი ბავშვით, ცხოვრება მისი ჩანდა ადვილი და გასხივოსნებული, როცა უკურნებელი სენის განვითარებამ, ის აიძულა მარცხენა მკლავი მოეკვეთა. ამის შედეგად ის იძულებული იყო უარი ეთქვა მკურნალის ხელობისათვის,დაეტოვებია მისი კლიანტები და სახლი, რომელიც მან იქ ააშენა. ის სიმტკიცე ხასიათის, რომელიც მან მაშინ გამოიჩინა მთელი რიგი სიძნელეების გადალახვის დროს, იყო უბრალოდ გასაოცარი.

საბედნიეროდ მან შეძლო ადმინისტრაციაში–სოციალური უზრუნველყოფის დარგში– ისეთი თანამდებობის მიღება, რომელსაც კავშირი ჰქონდა მის ხელობასთან. კერძოდ ის იყო საექიმო კონტროლიორი ოვერნის მხარის სოც. უზრუნველყოფის საღაროსი, სადაც მისი ერთგული და თავდადებული სამსახურით, მისი თანამშრომლებისა და უფროსების დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

ირჩია რა მედიცინა, გიორგიმ შეძლო მისი შეთავსება უცხოელ ლეგიონის სიფარულთან, რადგანაც ის იქ ასრულებდა თავის სავალდებულო სამხედრო სამსახურს. ეს იყო სწორედ ალჟერის ომის დროს. მას შეეძლო ამ სამსახურიდან თავის განთავისუფლება. მაგრამ მან არამც თუ განთავისუფლება არ ისურვა, არამედ ის მსახურობდა ფელაზე სახიფათო უბანზე, ტუნიზის საზღვრის გასწვრივ, სადაც მან თავი გამოიჩინა და კიდეც დაჯილდოებული იქნა **მხედრის ღირსებისა** და **მებრძოლის ჯვრებით.** გიორგის აღმერთებდნენ ლეგიონერები, რომლებიც იშვიათი შემფასებლები არიან საერთოდ მეთაურების. ლეგიონი დიდათ ფასობდა მისთვის. ის გულმოდგინეთ ფროვებდა ლეგიონების ნიშნებს და ცხოვრობდა ლეგიონის წარმატებებით და დაბრკოლებით. ცხოვრების უკანასკნელ დროს, ის ბედნიერი იყო, რომ წარმატებით შეასრულა მეტად ფაქიზი მისია ლიბანში. მან ჭეშმარიტად დაიმსახურა **პვი დე დომის** ყოფილ ლეგიონერების საზოგადოების დროშა, რომელიც მის საფლავზე დაიხარა და დედამისმაც იცოდა რასაც აკეთებდა, როცა ის ამ დროშას ეამბორა.

მამის სამსახური აფრიკაში და მალგაშში, თვით მისი სწავლა ალჟირში და ბორდოში, ხოლო გვიან მისი დასახლება პროვინციაში, გიორგის აიძულებდა შორს ყოფილიყო ჩვენს კოლონიასთან. ის მას პოულობდა ყოველთვის დიდი სიამოვნებით. თუ ის სრულყოფილად ვერ ლაპარაკობდა ქართულს, მან მის თაობაში ბევრზე უკედ იცოდა ის–ჩემიდან რომ დავიწყოთ–და არასოდეს შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ მისი ქართველობა არ გაემეღავნებია.

არ შემიძლია არ გავიხსენო: **4-5** წლის ასაკში ერთ-ერთი მისი საყვარელი გასართობი, რომელში მეც ხშირად მითრევდა, იყო ხის თოფით „სტალინის მოკლვა“ რის შემდეგაც ის მოახსენებდა მის კაპიტან მამას და ეს უკანასკნელიც დიდი სერიოზულობით უწონებდა. ასეთ სასაცილო პირობებში გავიგონე პირველად სახელი სტალინის.

მისი პარიზში უკანასკნელად ყოფნის დროს მე შევძელი მისთვის მეჩვენებია ქართული ხელოვნების საუნჯის გამოფენა გრან-პალეში. ის ძალიან დაქანცული იყო, მაგრამ უაღრესად ბედნიერი.

მისი სიკვდილი ისევე ვაუკაცური იყო, როგორც მისი სიცოცხლე.

მის დაკრძალვის დროს დამსწრე ასეულები, **6** საზოგადოების დროშები, უთვალავი ცოცხალი ფავიღების გვირგვინები მოწმობდნენ იმ ფართო გამოსხივებას, რომელსაც ის ეწეოდა.

ჩვენი უკანასკნელი საუბარი ასე დამთავრდა: **„ნახვამდის ჩემო ძველო მეგობარო!“**–უთხარით ერთმანეთს თითქმის ერთ და იმავე დროს. მას ჰქონდა რწმენა. მეც მაქვს. ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს. **ნახვამდის გიორგი!**

ოთარ ამილახვარი

ფრანგულიდან თარგმნა რედაქციამ

*** *** ***

სახელოვანი იუნკერის, ვიტალი უგრეხელიძის სამარადისო ხსოვნა

15 იანვარს, ლონდონში, **80** წლის ასაკში გარდაიცვალა ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის ყოფილი პოდპოლკოვნიკი **ვიტალი** (ტალიკო) **უგრეხელიძე.** აწ განსვენებულმა მდიდარი, მღელვარე და მეტად საინტერესო ცხოვრება განვლო. ის ალბათ ერთ დროს იპოვის თავის ცხოვრების ღირსეულ და შესაფერ ავტორს, ამჟამად კი ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ განსვენებულის ბიოგრაფიის ძუნწი აღწერით, რომლის დეტალების მოწოდებისათვის უღრმეს მადლობას ვუხდით მის ქალიშვილს, ქალბატონ **სევდია-დარეჯან ლუკაჩს.**

ვიტალი უგრეხელიძე უკანასკნელ წლებში.

მარტო ის ფაქტი, რომ ვ. უგრეხელიძე ეკუთვნოდა კოჯორისა და ტაბახმელას გმირ დამცველ „იუნკერთა“ ათასეულს, საკმარისია იმისათვის, რომ მის ხსოვნას პატივისცემით მოვეკიდოთ ქართველობა. მაგრამ, მის შემდეგაც, სულ ცოტა *60* წელიწადი ხიზნობაში, ცხოვრება მისი სამაგალითო იყო, და მით საამაყო მისი და ჩვენი სამშობლოსათვის. მისი ემიგრანტობის სამოც წლისთავზე, მას სამართლიანად შეეძლო ეთქვა თავის თავზე: „...არ ვიყავი არც მეცნიერი რამ და არც განათლებით საჩინო. ვიყავი უბრალო მხედარი, და აქ კი აღვიარებ, რომ ქართველი მხედრის კარგი სახელი დავტოვე პოლონეთში, პოლონეთის ჯარში. პირნათლად შემიძლია აღვიარო, რომ ქართველის სახელი ღირსეულად მიტარებია ყოველ მხარეში და აროდეს და არსად ქართველი არ შერცხვება ჩემი ხსენებით...“

მიუხედავათ ხანდაზმულობისა და მძიმე ავადმყოფობისა, ვ. უგრეხელიძე აქტიურად თანამშრომლობდა ჩვენს ეურნალთან. ის ხშირად გვიგზავნიდა მეტად საყურადღებო საგაზეთო თუ პირად წერილებს. ის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა დედაენის სიწმინდისადმი და დაუზოგავი იყო ყველა იმისადმი ვინც მას გულგრილად ეკიდებოდა. ის სასტიკად კიცხავდა იმ თანამემამულეებს, რომლებმაც—მისი სიტყვით—ქართული დაივიწყეს და ვერც შემფარველი ქვეყნის ენა შეისწავლეს საფუძვლიანადო.

ვ. უგრეხელიძე დაიბადა ქუთაისში *1902* წელს ცნობილი იურისტის ოჯახში, სადაც თავს იყრიდა მაშინდელი მოწინავე ქართული საზოგადოება, მათ შორის, აკაკი წერეთელიც.. შვიდ ძმაში, პატარა ტალიკო მეოთხე ვაჟიშვილი იყო. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. სკოლა ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა მსოფლიო ომი რომ დაიწყო. *14* წლის ბიჭი გაეპარა მშობლებს და მოხალისედ ჩაეწერა ჯარში, ღებულობს მონაწილეობას ბრძოლებში თურქეთის ფრონტზე. მშობლებმა მოახერხეს მისი სახლში დაბრუნება და ის წარმატებით ამთავრებს გიმნაზიას.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს თბილისში დაარსდა ქართული ოფიცერთა სკოლა, იუნკერთა სკოლად წოდებული, ვ. უგრეხელიძე იქ ჩაირიცხა საარტილერიო განხრით და საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოსევის დროს თავის სკოლის სხვა კურსანტებთან ერთად, ვ. უგრეხელიძეც მამაცურად იცავდა ქართული იარაღის ღირსებას და დამარცხების შემდეგ ისიც მთელ სკოლასთან ერთად მთავრობას გამოეყო უცხოეთში. ქ. კონსტანტინეპოლიდან ასი კურსანტი მარშალ პილსუდსკიმ მიიწვია პოლონეთში. პოლონეთში ვ. უგრეხელიძემ წარმატებით დაამთავრა სამხედრო სკოლა და ლეიტენანტის ხარისხით გაიგზავნა რუსეთის ფრონტზე სადაც თავი გამოიჩინა ბოლშევიკური ბანდებისაგან ქვეყნის გაწმენდის საქმეში. სტალინმა პოლონეთს მოთხოვა ვ. უგრეხელიძის გადაცემა, მაგრამ პილსუდსკისაგან საკადრისი პასუხი მიიღო.

ქართველ ოფიცერთა ჯგუფი პოლონეთში (მარჯვნიდან მარცხნივ) :*1* .**დავით**(**დუდა**) **ჩხეიძე**(გენერლის ვაჟი), *2*.**პატიკო თაყაიშვილი**, *3*.სადოღო ტანსაცმელში **ტალიკო უგრეხელიძე**, *4*.**მიშა კვალიაშვილი**, *5*. ღენერალი **ალ. ჩხეიძე**, *6*.**ვალოდია ლაღიძე**, *7*.**მაიორი კოტეტიშვილი** და *8*. **ალეკ. ალავიძე**.

სამხედრო კარიერასთან ერთად, ვ. უგრეხელიძემ საფუძვლიანად შეისწავლა სადოღო ცხენების მოშენებისა და გახედნის საქმე. წერდა ამის შესახებ სტატიებს და წიგნებს, თვით გაიჩინა სადოღო ცხენების თავლა, მონაწილეობდა საერთაშორისო შეჯიბრებებში, დაიმსახურა ოქროს ჯილდო და საერთოდ საუკეთესო ცხენოსნის სახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთსა და ევროპაში *1930*-ან წლებში, ომის დაწყებამდე. ის იყო პატრონი არაბული ჯიშის „კაშმირის“, რომელსაც წლების განმავლობაში ტოლი არ ჰყავდა საერთაშორისო შეჯიბრებებში.

1934 წელს ვ. უგრეხელიძემ ჯვარი დაიწერა პოლონელ ასულზე. ეს შეუღლება მამა ფერაძემ დალოცა. ამის შემდეგ, კაპიტანი ვ. უგრეხელიძე დაინიშნა მეშვიდე ცხენოსანთა ნაწილში და ამ ნაწილთან ერთად მიიღო მან მონაწილეობა გერმენიისგან პოლონეთის წინააღმდეგ ატეხილ ომში. ორი წლის ტყეობის შემდეგ გერმანელებმა ის გაანთავისუფლეს. ვ. უგრეხელიძემ მაშინვე პოლონეთის რეზისტანს მიაშურა. აღადგინა თითქმის მთლიანად მე-*17*-ე მსროლელთა პოლკი, რომლის კომანდირობა თავად იკისრა. ადგენდა ტერორისტულ გეგმებს და ხშირად თავად ახორციელებდა. პოლონეთში გახიზნულ მთავრობის აგენტებს ღებულობდა თავის ბინაზე და იქვე აწყობდა წინააღმდეგობის მეთაურთა კრება-თათბირებს. თავის სახლში მალავდა ებრაელებს და მათ ამარაგებდა ყლბი მოწმობებით. ასე გაგრძელდა ვარშავის აჯანყებამდე, *1944* წელში.

ლონდონის მთავრობის დირექტივით, რომლის მომხრე იყო რეზისტანსის მეთაურთა დიდი უმრავლესობა, აჯანყებას კავშირი უნდა დაემყარებია საბჭოთა ჯარებთან და მისი კარნახით უნდა ემოქმედა. ვ. უგრეხელიძემ იცოდა, რომ უარის შემთხვევაში მას სამხედრო სასამართლო ელოდა, მაგრამ მან მაინც უარი განაცხადა საბჭოებთან თანამშრომლობაზე. რეზისტანსის მეთაურობამ ანგარიში გაუწია მის დიდ დამსახურებას და განსაკუთრებული მისიით გენერალ ანდერსთან გაგზავნეს, რომელიც იმ დროს თავისი ნაწილებით იტალიაში იბრძოდა. დიდი ხიფათიანი მგზავრობის შემდეგ, ვ. უგრეხელიძემ მიაღწია გენერალ ანდერსამდე, რომელმაც ის დანიშნა ქ. გალიპოლში საჯავშნო ნაწილების ინსტრუქტორად. რეზისტანში დიდი დამსახურების აღსანიშნავად, ანდერსის სამხედრო ნაწილების მთავარმა შტაბმა მას წინადადება მიცა მის გვარისათვის მიემატებია **„უგორსკი“**, საომარი სახელი, რომელსაც ის შეთქმულობის დროს ატარებდა.

ომის დამთავრების შემდეგ, რა თქმა უნდა, გასაბჭოებულ პოლონეთში დაბრუნება ვ. უგრეხელიძე-უგორსკიმ არ ისურვა და ხელმეორედ ხიზნობაში მოუწია წასვლამ, ამჯერად ინგლისში. უკვე ხანში შესულს, მეტად ძნელ პირობებში უხდებოდა მას ცხოვრება იქ. მუშაობდა შავ მუშად ქარხნებში, სადაც ხშირად მოსდიოდა მარცხი. ერთხელ, *1957* წელს კინაღამ დაკარგა მთელი მარცხენა მკლავი, რომელიც შვინგმის საკეპავმა მანქანამ ჩაითრია. სულით მაინც არასოდეს არ დაცემულა და შეძლო ახალ გარემოცვაში პატიოსანი შრომით ოჯახის ღირსეულად შენახვა.

1979 წლის სექტემბერში მას ტვინის ნაწილობრივი დავლა მოუვიდა. ამის შემდეგ ის მუდამ მზრუნველი ცოლისა და შვილის ყურადღების ქვეშ იყო, მაგრამ უკანასკნელ სულის ამოსვლამდე არ შეუწყეტია გონებრივი მუშაობა და ხელიდან არ გაუგდია კალამი. წერდა საგაზეთო სტატიებს პოლონურად, ემიგრანტ პოლონელების გამოცემებისათვის უმთავრესად, ხანგამოშვებით ქართულად და ამავე დროს პოლონურიდან ქართულად თარგმნიდა ბევრ მის საყვარელ ავტორებს. სამწუხაროდ ჩვენ მას თხოვნა ვერ შევუსრულეთ, ამ თარგმანების გამოცემის შესახებ. გვატყობინებდა, რო მას თარგმანები საიმედო ადგილას აქვს შენახული. იმედი გვაქვს, დრო მოვა და სამშობლოდან ამ ხელნაწერებს მოიკითხავენ ამ დარგით დაინტერესებული და კვალიფიციური პირები.

1982 წლის ზაფხულიდან დაეწყო გულის კრიზისი. *29* ნოემბერს უეცრად დაბრმავდა, ხოლო მიმდინარე წლის *15* იანვარს დილით სამუდამოდ განისვენა.

მას ჰირისუფლად დარჩა მეუღლე, ერთი გათხოვილი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი(*15* და *13* წლის ყმაწვილები)

საუკუნო იყოს ხსენება ღირს-შესანიშნავ მამულიშვილისა!

გულბათ გულბათიშვილი

*** *** ***

მარადი იყოს მათი ხსენება

ოთხშაბათს, *6* აპრილს, ღვიძლის მიწას, ძვირფას მეუღლის გვერდით, მივაბარეთ დიდი ქალბატონი **ნელი** (შემინდოს განსვენებულმა, მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ შევიტყე, რომ მისი ნათლობის სახელი **ელენე** იყო. ჩემთვის ის ძვირფასი ნელი მდივანი იყო, ნელი მდივნად დარჩება კიდევაც ჩემს მეხსიერებაში) **მდივანი.**

ნელისავით ხანდაზმულებს ხშირად აღარც კი დასტირიან ჰირისუფლები და მახლობლები. ასე არ იყო ქალბატონ ნელის გასვენების დროს. მას მდუღარე ცრემლებს აყრიდენ შვილები, შვილიშვილები, ახლობლები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა. ახალგაზრდობა არასოდეს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალთმაქცობს. ის უტყუარი ბარომეტრია საზოგადოების განწყობილების შესაფასებლად. ქალბატონ ნელის ხელში უკვე ემიგრაციის სამი თაობა გაიზარდა. მათთვის ნელი იყო საქართველოს განსახიერება და ის მართლაც იყო ქართველი ქალის, ქართველი დედის კეთილშობილი განსახიერება. იგი მუდამ კეთილი, სათნო და მოღიმარი იყო. ამიტომ უყვარდათ იგი მის ხელში გაზრდილებს.

ნელი დაიბადა ნაკაშიძის ბრწყინვალე თავადის ოჯახში, მას სისხლით ნათესაობა აკავშირებდა საქართველოს სხვა დიდ გვარიშვილებთან და ოჯახიშვილებთან, ის მეუღლე იყო დამოუკიდებელი საქართველოს საკრებულოს თავმჯდომარის ამხანაგის და ელჩის–**სიმონ მდივანის,** მაგრამ არასოდეს რაგინდ მდაბიო არ მდგარიყოს მის წინაშე, ის მედიდურობას არ გამოიჩენდა. მან ძალიან კარგად იცოდა თავისი ოჯახისა და თავისი პირადი ფასი და ყადრი, მაგრამ ის ამით თავს არავის მოაბეზრებდა და ადამიანებთან ურთიერთობაში იყო უაღრესად თავმდაბალი, უბრალო და ჭეშმარიტად დემოკრატი.

ქალბატონი ნელი ადრე დაქვრივდა. ის სრულებითაც არ იყო მომზადებული ემიგრანტულ ცხოვრებისათვის, მიუხედავად ამისა მან გამოიჩინა ხასიათის სიმტკიცე და ღირსეულად აღზარდა **4** ქალიშვილი, მათ მისცა არა მარტო საუცხოო სწავლა-განათლება, არამედ აგრეთვე სულით და ხორცით ქართველობა უცხო ქვეყნაში, და ეს მისი აღზრდილები, პარიზში თუ ნიუ-იორკში, თავდადებით ემსახურებიან ქარ. დევნილთა საზოგადოებებს და საერთოდ ქართულ საქმეს.

გარდაცვალებამდის ორი დღით ადრე ვეწვიე სახლში. მსუბუქი ირონიით მისაყვედურა ხშირად არ მნახულობო, თანაც რუსთაველის აფორიზმით დაასვა ზედ ბეჭედი. კარგათ ვიცოდი მისი ტრფიალი დიდი შოთას ხატოვანი სიბრძნისადმი, მაგრამ მაინც გამაოცა მის ასაკში მისმა ასეთმა ნათელმა მეხსიერებამ. როცა ვემშვიდობებოდი დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთ საუკუნეს სულ ადვილად მოიტოვებდა უკან. როგორი იყო ჩემი განცვიფრება, როცა მესამე დღეს მისი მამაზეციერთან მიხმობის ამბავი შევიტყე. ვიცი ქალბატონ ნელის ესიამოვნება ეს მცირე გამოსათხოვარი შოთას სიტყვებით რომ დავამთავროთ: „ამას მოკვდავი ვიოლაკავ, აროდეს ვითხოვ, არ, ენით:

აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყრენით,
მუნ ერთმანერთი კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიხარენით,
მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყრენით!“

დიახ, ალბათ ზეცაში ერთმანერთს შეეყრებიან ქალბატონი ნელი და ბატონი სიმონი და ორივე ერთად ბრწყინვალე მნათობად დაადგებიან თავზე სათაყვანებელ სამშობლოს.
მარადი იყოს მათი ხსენება!

გოგი წერეთელი

*** *** ***

ჟორჟ ბალანშინის გარდაცვალება

შაბათს, **30** აპრილს, ნიუ-იორკში გარდაიცვალა **ჟორჟ ბალანშინ-ად** მსოფლიოში ცნობილი **გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძე.** *1982* წლის ნოემბრიდან ის იწვა საავადმყოფოში სისხლის მილების მძიმე დაავადების გამო და წელს **23** თებერვალს ჰეროიკული ძალ-ღონის დაძაბვით მხოლოდ შეძლო დასწრებოდა თეთრ-სახლში გამართულ ბანკეტს, რომლის დროსაც პრეზიდენტმა **რეიგანმა** მას გადასცა ამერიკის უმაღლესი სამოქალაქო ჯილდო: *Medal of Freedom,* ცეკვის ხელოვნებაში შეტანილ დიდი წვლილის აღსანიშნავად.

მსოფლიოს ცეკვისა და საერთოდ ხელოვნების სამყარო გულისტკივილით და ფართოდ აღნიშნავენ სახელგანთქმულ ქორეოგრაფის გარდაცვალების ამბავს. საფრანგეთის დიდ ყოველდღიურ გაზეთ „ლე მონდ“-ში ოლივიე მერლენმა ჟ. ბალანშინის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ვრცელ სტატიას სათაურად წარუმძღვარა: **ბალეტს გენია.** მეორე, მოწინააღმდეგე ბანაკის, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე დიდათ გავრცელებულ გაზეთ „ფიგარო“-ში, **რენე სირვენის** სტატიის სათაურია: „ბალანშინთან ერთად თვალს ეფარება საუკუნის ქორეოგრაფი.“ ხოლო სტატიის რეზუმეში სიტყვა-სიტყვით წერს: „ჯორჯ ბალანშინი, რომელიც ეს-ეს არის გარდაიცვალა ნიუ-იორკში *79* წლის ასაკში, უეჭველად იყო ამ საუკუნის ჯელაზე დიდი ქორეოგრაფი. მემკვიდრე სენ-პეტერსბურგის დიდი რომანტიული ტრადიციებისა, სადაც ის დაიბადა, მან უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა ცეკვის კლასიკური ხელოვნება და ამავე დროს ის გაანთავისუფლა ჯელა პანტომიმებისა და ჯელა ანეკდოტებისაგან, გაფურჩქნა და ააყვავა რა მხოლოდ წმინდა ცეკვისა და მუსიკის ურთიერთობაში, გზა გაუხსნა ახალ მიმართულებებს, როგორებიცაა, მაგალითად, **კილიანი** და **ბეჟარი.**“

„**პეტიპას** შემდეგ, ამბობს იქვე რ. სირვენი, ცოტა ქორეოგრაფს რგებია წილად ასეთი მსოფლიო წარმატებაო.“

ბალანშინის ქორეოგრაფიულ წარმატებებს ხელს უწყობდა უეჭველად მისი დიდი მუსიკალური ნიჭიც და კულტურაც.“ ის ალბათ ერთადერთი ქორეოგრაფი იყო მსოფლიოში, ამბობს იგივე რ. სივერენი, რომელსაც შეეძლო წარმოდგენის დროს თვალის დაუხამხამებლად შეეცვალა ორკესტრის დირიჟორიო“. მისი დიდი მუსიკალური ნიჭით იყო აგრეთვე განპირობებული მისი მჭიდრო მეგობრული თანამშრომლობა დიდ რუს კომპოზიტორ **იგორ სტრავინსკისთან.**

ბალანშინს მემკვიდრეობად რჩება მის მიერ დაარსებულ ნიუ-იორკის დიდი ბალეტის თეატრის გარდა, ასეული ბალეტი, რომელთა უმრავლესობა შესულია მსოფლიოს ჯელა თანამედროვე საბალეტო თეატრების რეპერტუარებში.

მოკლე ბიოგრაფია

ბალანშინი *1980* წელს პარიზის ფესტივალზე.

გიორგი ბალანჩივაძე დაიბადა პეტერბურგში *1904* წლის *22* იანვარს. ის უმცროსი შვილი იყო კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის. გიორგის დედა იყო რუსი, პიანისტი და აკომპანიატორობას უწევდა ქმარს. გიორგის ჰყავდა ერთი და—**თამარა** და ერთი ძმა—**ანდრია,** რომელიც ამჟამად საქართველოს სახელგანთქმული კომპოზიტორია. პატარა გიორგი სამხედრო კარიერისთვის იყო განკუთვნილი, ათი წლისას უარი უთხრეს სამხედრო საზღვაო აკადემიაში მიღებაზე, რის შემდეგაც ის და მისი და თამარი მშობლებმა მიაბარეს თეატრისა და ბალეტის საიმპერატორო აკადემიაში.

მელიტონს გვარიანი თანხა მოუგია ლატარიაში, რითაც კარგი რესტორანი შეუძენია, მაგრამ მალე გაკოტრებულა და ამის გამო ციხეშიც მჯდარა ორი წლის განმავლობაში. მიუხედავათ ამისა მელიტონის ოჯახის მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი ჩანს რევოლუციამდე. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მათ ძალიან გაჭირვებიათ. დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოში გადასახლებულან, ხოლო, როცა საქართველო ბოლშევიკებმა დაიპყრეს, გიორგი ისევ დაუბრუნდა ლენინგრადს, სადაც იმ დროს ბალეტის კურსები გახსნა მარინსკის აკადემიამ. *17* წლის ჭაბუკი, როცა გ. ბალანჩივაძე დიპლომს ღებულობს და იწყებს ცეკვის კარიერას, მაგრამ მისი ნამდვილი კარიერა იწყება *1924* წლიდან, როცა ბერლინში მყოფმა თავი დააღწია მის „მცველ ანგელოზებს“ და თავი შეაფარა დასავლეთს. ამ დროს პარიზში ბალეტის „მეფე“ იყო რუსი სერგეი **დიაგილევი.** დიაგილევმა ბალანჩივაძე არა მარტო სოლისტად მიიწვია, არამედ ჯელას გასაკვირველად ბრონისლავა ნიჟინსკას ადგილას ქორეოგრაფადაც დანიშნა და ქართული გვარის **ბალანშინად** გადაკეთებაც მისი რჩევით მოხდა. აქედან მოყოლებული იწყება ჯორჯ ბალანშინის საერთაშორისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარიერა. პარიზში მან დადგა ერთი ათეული ბალეტი, მათ შორის „აპოლონ მუზაეტ“(იგორ სტრავინსკის მუსიკა) და „მფლანგავი ვაჟიშვილ“(პროკოფიევის მუსიკა) , ორი სამუდამოდ ... ხუნარი შედევრი. მუხლის ძვლის ამოვარდნის უბედური შემთხვევის შედეგად მისი როგორც მოცეკვავის კარიერა შეწყვეტილ იქნა ადრე და მოულოდნელად, მაგრამ ამან ალბათ კიდევ უფრო შეუწყო ხელი მის წარმატებას როგორც ქორეოგრაფისას.

დიაგილევის სიკვდილის შემდეგ ბალანშინს შესთავაზეს პარიზის ოპერა, მაგრამ მან უარი თქვა **სერჟ ლიფარის სასარგებლოდ.** თავად კი დაიწყო გასტროლები ევროპის დედაქალაქებში: ლონდონი, პარიზი, კოპენჰაგენი, მონტე-კარლო...*1933* წელს გაიცნო ამერიკელი კრიტიკოსი და მეცენატი ლინკოლნ კირშტეინი, რომელიც მისი განუშორებელი მეგობარი და თანამშრომელი გახდა. მათ ერთად გადაწყვიტეს ბალანჩინს თავისი საქმიანობა ამერიკაში გადაეტანა. მართლაც, *1934* წელს მათ ერთად გახსნეს ნიუ-იორკში „ამერიკის საბალეტო სკოლა“, რომლიდანაცაა გამოსული დღევანდელი ამერიკის მოცეკვავეთა უმრავლესობა. ამასთან ერთად მათ დააარსეს *4* საბალეტო კომპანია, ბალანშინის ქორეოგრაფობით. ნელ-ნელა მათ სახელი გაუთქვეს ბალანშინს ამერიკასა და მსოფლიოში. ბალანშინის სახელი განსაკუთრებით მოედვა მსოფლიოს *1948* წლიდან, როცა მან და მისმა მეგობარმა ლ. კირშტეინმა ნიუ-იორკის ცენტრში დააარსეს ახალი ბალეტის დიდი თეატრი **ნიუ-იორკ სიტი-ბალე**-დ წოდებული, *100* არტისტით, *350* შეგირდით და საკუთარ სიმფონიურ ორკესტრით. იგი უდიდესი საბალეტო ორგანიზაციაა ამერიკასა და მთელს მსოფლიოში. თესლმა სათანადო ნიადაგი უნდა იპოვოს, რომ გაიღოჯოს, აღმოცენდეს და გაიფურჩქნოს. ქართულმა ნიჭმა ამერიკის სახით ალბათ შესაფერი ნიადაგი ნახა, რომ გენიად გადაშლილიყო. არ ვიცი თუ მან სახელის გარდა რამე არგო მის სამშობლოს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ საქართველო არ დაივიწყებს მის საქვეყნოდ სახელგანთქმულ შვილს. სასუფეველი დაუმკვიდროს ღმერთმა. მ. გ.

****

ჩ ვ ე ნ ი ფ ო ნ დ ი (ფრანგულ ფრანკებში)

ქრისტეფორე იმნაიშვილი— ნიკიტა იმნაიშვილის მოსაგონარად			300—
გივი გაბლიანი	116—	მართა სტურუასი	50—
შოთა გვასალია	292—	ნამო გოგუაძისა	100—
დავით ვაშაძე	300—	არჩილ მუჯედლიშვილი	200—
მეგობარი ამერიკიდან	116—	დიმიტრი მახარაშვილი	103—
ირენ ბაგრატიონ-მუხრანელი	100—	გერასიმე ბოლქვაძე	500—
მანია ყველაშვილისა	200—	გრიგოლ წერეთელი	100—
მიშა გოგორიშვილი	300—	ზეინაბ ზურაბიშვილი	500—
ლუბა აბდუშელი	500—	ანონიმი საფრანგეთიდან	200—
მიშა გაფრინდაშვილი	300—	გიორგი გორგიშელი	700—
გიორგი მეგობრიშვილი	500—	დავით ბებიაშვილი	1.372—
თათარხან ანთაძე	100—	მიშა გოცირიძე	300—
ისააკ ირაკლი	657—	ირაკლი ოთხმეზური	148—
იონა გუნია	100—	გრიგოლ აბულაძე	300—
ტარასი წულაძე	100—	დავით თორაძე	500—
თამაზ ნასყიდაშვილი	100—	რაფიელ ჯაში	300—
გრიგოლ ლომაძე	200—		
		ჯ ა მ ი	9.654—

****

მ ო კ ლ ე დ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ა მ ბ ე ბ ზ ე

ბ.ჯანრი კაშიას დარჩენის შესახებ

წინა ნომერში დაბეჭდილი იყო ბ. ჯანრი კაშიას სტატია :„ზოგი რამ „შეერთებაზე“ რუსეთთან საქართველოსი.“ ამავე დროს გამიზნული იყო ავტორის წარდგენა მკითხველებისადმი, მაგრამ აწყობის დროს უნებურად გამორჩა, რაც გვინდა აქ შევასრულოთ.

ბ. ჯანრი კაშია, რომელიც გასული წლის ზაფხულში დროებითი ვიზით ეწვია საფრანგეთს, ფორმაციით ისტორიკოსია. აქვს დამთავრებული თბილისის სახ. უნივერსიტეტი. ავტორია ისტორიული